

# საქართველოს ქალი

ISSN 0321-1509

4
1983



ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. ვ. ი. ლენინის ძეგლი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობასთან.

მოქანდაკეები მიხეილ ყიფიანი და ლევან ფოფხაძე. ძეგლის არქიტექტორი ვახტანგ აბრამიშვილი.

დ. იაკობაშვილის ფოტო

„საქართველოს ქალი"

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღია წერილი ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქალებისადმი

ევროპის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ქალებო!

ძვირფასო დედებო!

ჩვენ, საბჭოთა ქალების კომიტეტის პლენუმის მონაწილენი, უდიდესი აღშფოთებით მოგმართავთ დღევანდელი და მომავალი თაობების ბედის გამო.

ევროპას სერიოზული საშიშროება მოელის. ევროპაში ახალი ამერიკული ბირთვული იარაღის განლაგების თაობაზე ნატოს გადაწყვეტილების განხორციელება საფუძველს შეუქმნიდა გამალებული შეიარაღების თვისებრივად ახალ საფეხურს, უფრო გაართულებდა სახელმწიფოთა ურთიერთობას, გააუარესებდა როგორც კონტინენტის, ისე მთელი მსოფლიოს მდგომარეობას, უფრო გაზრდიდა სამხედრო ბიუჯეტს და შეამცირებდა სოციალური საჭიროებებისათვის გამოსაყოფ ასიგნებებს.

1983 წელი მშვიდოპისათვის ბრძოლის გადამწყვეტი წელიწადია.

ახლა ჯერ კიდევ არ არის გვიან შევაჩეროთ გამალებული შეიარაღება, თავიდან ავიცილოთ ბირთვული კატასტროფა.

მილიონობით საბჭოთა ქალის სახელით მოგიწოდებთ, უფრო აქტიურად იმოქმედოთ:

— ბირთვული არსენალების გამოუყენებლობისა, თანასწორუფლებიანობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპების საფუძველზე მათი შემდგომი შემცირებისა და, საბოლოო ანგარიშით, ბირთვული იარაღის სრული მოსპოპისათვის.

— იმისათვის, რომ არ განალაგონ ევროპაში ახალი ბირთვული იარაღი, აგრეთვე შემცირდეს იქ უკვე არსებული ბირთვული შეიარაღება.

— ევროპაში უბირთვო ზონის შექმნისათვის, მთელი ევროპის უბირთვო ზონად გამოცხადებისათვის, როგორც საშუალო სიშორის, ისე ტაქტიკური ბირთვული იარაღის აკრძალვისათვის.

— ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო შეწყვეტისათვის.

— ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა და ნატოს წევრ სახელმწიფოთა შორის შეიარაღებული ძალების ურთიერთსანაცვლო გამოუყენებლობისა და მშვიდობისათვის მხარდაჭერის თაობაზე ხელშეკრულების დადებისათვის.

მოდი, მივაღწიოთ იმას, რომ ბირთვული იარაღის მფლობელმა ყველა სახელმწიფომ ითავოს ვალდებულება პირველმა არ გამოიყენოს ეს იარაღი. თუ პირველი დარტყმა არ იქნება, არც ბირთვული ომი იქნება.

ათასწლეულები დასჭირდა კაცობრიობას, ქვის ხანიდან პირთვული იარაღის ხანამდე რომ მისულიყო. დღეს კი დედამიწაზე სულ რამდენიმე საათში შეიძლება მოისპოს სიცოცხლე. ეს არ უნდა მოხდეს!

ჩვენ მუდამ მზად ვართ ყველაზე ფართო თანამშრომლობისათვის და ხელს ვუწვდით ყველას, ვინც კი წინ აღუდგება ბირთვული კატასტროფის საფრთხეს.

ჩვენი მოვალეობაა ვიბრძოლოთ, ვიბრძოლოთ და კიდევ ვიბრძოლოთ მშვიდობის შენარჩუნებისათვის!

**საბჭოთა ქალების კომიტეტის პლენუმის მონაწილენი.**

მოსკოვი, 1983 წ. 16 თებერვალი.

## მეთერთმეტე ხუთწლედის მოწინავენი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მუშაობენ უწუნოდ

უზარმაზარ ჩარხებს შორის იკარგება ია წოწორია. ეს მანამ, სანამ ხელს ჩამოართმევთ და მის შუქიან ღიმილს დაიჭერთ...

ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მე-2 სამსხმელო საამქროს მეკოპე ქალთა ბრიგადის ბრიგადირია ია. ბრიგადაში რვა წევრია, ყველა — თავდადებული მშრომელი. 23 წელია იგი აქ მუშაობს. 20 წლისა საწარმოში ძმამ — ავთანდილ ვაშაკიძემ მოიყვანა.

ავთანდილი სახელგანთქმული მეავტომობილის — ბორის ვაშაკიძის თანატოლი და თანამოსაქმეა. მათ ერთად დაიწყეს ქარხანაში მუშაობა. მათთან ერთად იყო მესამე ვაშაკიძე — კოტე. მეავტომობილე ვაშაკიძეების დინასტიას 1960 წელს იაც მიემატა.

უსიხარულო იყო მისი ბავშვობა. დაიბადა 1939 წელს, დიდ ჯიხაიშში. მამა გზის ოსტატი იყო, დედა — დიასახლისი. თამარ და ალექსანდრე ვაშაკიძეებს შვიდი შვილი ჰყავდათ. ალექსანდრე დიდი სამამულო ომის დროს დაიღუპა ქერჩში. დედა ლოგინად ჩავარდა. და-ძმებს ყველაზე უფროსი, 10 წლის ნაზი უვლიდა. უჭირდათ. ია მაშინ 5-6 წლისა იყო, იგი ეწრის უდედმამო ბავშვთა სახლში მიაბარეს. დედამ რომ მოიკეთა, იმავე ბავშვთა სახლში დაიწყო მუშაობა მზარეულად. მოგვიანებით, როცა თამარი ფეხზე დადგა და ბავშვები შინ წაიყვანა, ია არ გაჰყოლია. შეჩვეული იყო ბავშვთა სახლს და გაუძნელდა დატოვება. აქ დაამთავრა რვა კლასი, შემდეგ — დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. მუშაობა დაიწყო აგროტექნიკოსად სამტრედიის რაიონის ნინუაკუთხესა და კვირიკეს გაერთიანებულ კოლმეურნეობაში. აი, ამ დროს გამოჩნდა ის ბიოგრაფიაში ქუთაისის საავტომობილო ქარხანა.

ვეებერთელა ძალა აქვს ამ პატარა ქალს. თუ რამ მოუნდომებია, ყველაფერი გამოსვლია ხელიდან. პროფესია მას მეორე სამსხმელო საამქროს ოსტატმა პავლე გიგაშვილმა შეასწავლა. მთელი კოლექტივი მხარში ამოუდგა. ია მალე მოწინავე მეკოპე გახდა. 1962 წელს სკკპ რიგებში მიიღეს. 1965 წელს დააჯილდოეს მედლით „შრომითი მამაცობისათვის“, 1975 წელს — შრომითი დიდების მეორე ხარისხის ორდენით, ამ ორიოდე წლის წინათ — შრომის წითელი დროშის ორდენით.

კოპების ტექნოლოგია რთულია. საამქროში სხვადასხვა შემკვრელებით გამდიდრებულ კვარცის ქვიშას იყენებენ. კოპების გაფორმების დროს ქვიშას ამაგრებენ სპეციალური მავთულებით. მზა კოპები კონვეიერით საამქროს ზედა სართულზე ადის, სადაც მათ ფორმებზე მანქანათა დეტალებს ჩამოასხამენ. თითოეულ დამზადებულ ყალიბს, დეტალს თავიანთ შემართებას, ენერგიას, ხელების სითბოს აქსოვენ ადამიანები.

ის ბრიგადა პირნათლად ასრულებს გეგმურ დავალებებს. ია განსაკუთრებული სიამაყით ლაპარაკობს თანამოსაქმეებზე: „საპატიო ნიშნის“ ორდენოსან იზოლდა ზაალიშვილზე, შრომის ვეტერანზე ფაინა დიაგილევაზე, ნატაშა ონიანზე, ნანული გუმბერიძეზე, ევა პაპანდოვაზე, თავის ყოფილ და ახლანდელ მოსწავლეებზე...

...ის თავი დაუხრია მაგიდასთან. ფანჯარაში ლურჯი სალამოა. ოთახში ელექტრონი ჩახჩახებს. ია რითმებად იღვრება, წერს თავის ბედნიერ ცხოვრებაზე, საყვარელ სამშობლოზე, მშვიდობაზე, მარადიულ გაზაფხულზე, საბჭოთა ადამიანების მამაცურ შრომაზე. ეს მისი თემებია. „განა ასე იყო მაშინ?“ პათეტიკურად კითხულობს მუშა-პოეტი და იქვე უპასუხებს, რომ შეიცვალა ირგვლივ ყველაფერი — მუშა ადამიანი დაფასდა.

ოცდაორი წლისა იყო, როცა გვერდით მომუშავე აბელ წოწორიას გაჰყვა ცოლად. მათ ორი შვილი ჰყავთ — მალხაზი და მაია. მალხაზი პროფტექნიკურ სასწავლებელში სწავლობს სამხატვრო-სამღებრო სპეციალობით, ფეხბურთით არის გატაცებული. მაია მერვე კლასის მოსწავლეა, ისიც სპორტსმენია. ახლახან რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე ქალაქის მოცურავეთა ღირსება დაიცვა და ვერცხლის მედალი მოიპოვა. ქარხანამ ვაშაკიძე-წოწორიების ოჯახს კეთილმოწყობილი ბინა მისცა.

ასევე კარგად აეწყო ის და-ძმების ცხოვრებაც. ზოგი მუშაა, ზოგი — მოსამსახურე, ზოგი — დიასახლისი, ჰყავთ შვილები, აქვთ გამართული ოჯახები... თამარ ვაშაკიძე შვილთაშვილებს მოესწრო და ახლაც დიდ ჯიხაიშში ცხოვრობს.

ია წოწორიას, როგორც მოწინავე ქალს, მრავალი პარტიული თუ საზოგადოებრივი დავალება აქვს: არის პროფჯგუფორგი, უბნის აგიტატორი, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სარევიზიო კომისიის წევრი, რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის პლენუმის წევრი... როგორც პროფჯგუფორგი, მუშებს ესაუბრება პარტიის მიერ დასახულ ახალ ამოცანებზე, წუნის ალკვეთის გზებზე, წარმოების კულტურაზე.

მთელ ქვეყანას მოედო ქუთაისელ მეავტომობილეთა ახალი პროდუქციის — დიზელისძრავიანი ავტომატარებლის გამოსვლის ამბავი. დიზელის დამზადებაში ის ბრიგადის წევრების წვლილიც არის.

ისინი პარტიის დავალებას ასრულებენ — მუშაობენ უწუნოდ.

ცისანა ჟორჟოლიანი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველას მეთერთმეტე სჯობს

## რეპორტაჟი სამშობიარო სახლიდან რამდენიმე ინტერვიუთი

### მშვენიერი სცენა აგურის კედელთან

მართალია, ერთი ჩვეულებრივი, წითელი აგურის შენობაა და ჩემი ნება რომ იყოს, სულ სხვაგვარად, თვალგასახარად მოვაჩუქურთმებდი ამ კედლებს, მოვხატავდი, გავალამაზებდი, მაგრამ რაც არის, იქიდანაც იმდენი სილამაზე და სიხარული ასხივებს, თვალს მოგჭრის.

თვალს მოგჭრის მეთქი, რომ ვამბობ, „თვალი გულისა“ მაქვს ნაგულისხმევი.

გულით უნდა შეხედო, გულით უნდა განიცადო და თვალიც მაშინ გაგიჭრის, თორემ ისე, აკი გითხარით, ერთი ჩვეულებრივი შენობაა თარხნიშვილის ქუჩაზე — № 3 სამშობიარო სახლი.

შესვლამდე ასეთი სცენის მოწმე გავხდი. ქუჩაში, რკინის მოაჯირთან, ახალგაზრდა კაცი იდგა, დიდი-დიდი, 22-23 წლისა იქნებოდა. სიხარულით ტუჩებს თავს ვერ უყრიდა და მესამე სართულის ფანჯრიდან გადმომზირალ მთვარესავით გოგოს ელაპარაკებოდა.

— ვის ჰგავს?

— მთლად შენ გგავს, ხალიც კი შენი გამოჰყვა, ზუსტად მარჯვენა ყურთან. ისეთი ლამაზი თავი აქვს, ისეთი პაწია ყურები, გაგიჟდები.

— მართლა? — უფრო გაიბადრა ბიჭი.

— გეუბნები, გადასარევია!

— ვერ მაჩვენებ? რა უჭირს, ფანჯრიდან რომ დამანახო?

— ბიჭო, შენ ხომ არ გაგიჟდი. ორი საათის მერე მომიყვანენ, თან ისეთი მოშიებული იქნება, სად გვეცლება ფანჯარაში საცქერლად?

გოგოს ხმაში ისეთი ხიამაყეშეპარული კატეგორიული ტონი ჟღერდა, მარტო დედას რომ აქვს და თავის პირმშოზე განუსაზღვრელ უფლებასა და პრივილეგიას რომ ანიჭებს.

— აბა რა ვქნა, რომ ვერ ვითმენ? მოვიცდი, რა უჭირს!

— არა, არა, ზაზა, ტყუილად ნუ იცდი. სახელი გადაწყვიტე?

— აბა, რა, აუცილებლად ჯარჯი იქნება. „ჯარჯი, ნუ დასდევ ჯიხვებსა, ჯიხვთა არ გიყონ ზიანი, არ დაიჯერა ჯარჯიმა, სხვაც ბევრ დამცდარა ჭკვიანი“...

შუა ტროტუარზე დგომას ხელი არ შეუშლია ახალგაზრდა მამისათვის ჯარჯის მამაცობაზე ბოლომდე ეთქვა ლექსი. ისე ამაყად ამბობდა, გეგონებოდა ჯიხვებზე მონადირე გაბედულ ვაჟკაცზე კი არა, მის სამი დღის თითისტოლა ბიჭზე იყო იგი დაწერილი.

მთვარესავით გოგო ღიმილით უსმენდა. მერე: „უი, ექიმი მოდისო“, დაიძახა და თეთრი პალატის სიღრმეში გაუჩინარდა.

მე ერთს შევესწარი.

ხოლო რამდენი ასეთი მშვენიერი სცენის მომსწრეა ეს აგურის კედლები!

სანამ ქათქათა, გახამებული ხალათი ჩამაცვეს და პალატები შემომატარეს, მანამ

სამშობიაროს მთავარ ექიმს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს ანზორ ოდიშარიას ვესაუბრე.

ანზორმა მოსკოვის მეორე სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და აგერ უკვე 22 წელია მეან-გინეკოლოგია.

რუსეთისა და საქართველოს სხვადასხვა რაიონში მუშაობამ ახალგაზრდა ექიმს დიდი პრაქტიკული გამოცდილება შესძინა. ასე რომ, როცა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის ასპირანტად ჩაირიცხა, უკვე დამოუკიდებელი მუშაობის მყარი ჩვევები ჰქონდა. მალე დაიცვა დისერტაცია, რომელიც ეხებოდა სხვადასხვა სამეანო ოპერაციების ჩარევის შემდეგ, ახალშობილთა მდგომარეობის შესწავლას ელექტროენცეფალოგრაფიის და ელექტროკარდიოლოგიის გამოყენებით.

ერთი წელია, რაც მთავარ ექიმად მუშაობს № 3 სამშობიარო სახლში.

აქაურობას ეტყობა ჭთავარი ექიმის ენერგიული ხელი.

ეს, ასე ვთქვათ, შტრიხებია პორტრეტისათვის.

შემდგომ კი ასე წარიმართა ჩვენი საუბარი მთავარ ექიმთან:

— თითქმის ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გაზეთ „თბილისში" გამოქვეყნდა წერილი „დაცემა", რომელიც თქვენი სამშობიარო სახლის ექიმების დანაშაულებრივ ქმედებას ეხებოდა, ექიმებისა, რომლებმაც, ჩირქი მოსცხეს მთელი კოლექტივის ღირსებას. დამეთანხმებით, რომ კოლექტივში, სადაც თითოეული წევრი ზრუნავს როგორც საკუთარ პროფესიულ, ისე კოლექტივის ღირსებასა და მორალურ სახეზე, როცა პარტიული ორგანიზაცია, ადგილობრივი სახალხო კონტროლის ჯგუფი თავის ფუნქციას კარგად ასრულებს, სადაც მუშაკები და ხელმძღვანელები სარგებლობენ ჰუმანური და იმავდროულად საქმიანი პრინციპით: „ენდე, მაგრამ შეამოწმე", მსგავსი რამ შეუძლებელია მოხდეს.

საინტერესოა, რა გავლენა მოახდინა კოლექტივში ზნეობრივ კლიმატზე დასახელებულმა სამწუხარო ფაქტმა და რა დასკვნები გაკეთდა მისგან?

— როგორც ცნობილია, დამნაშავენი დაისაჯნენ. კოლექტივშიც ცვლილებები მოხდა. ყველა ხელმძღვანელ პოსტზე ახალი კადრები მოვიდნენ. მეც მაშინ დავინიშნე მთავარ ექიმად. მას შემდეგ განსაკუთრებული სიმკაცრით ვებრძვით გამომძალველობას, საექიმო ეთიკის დარღვევებს.

ყოველ კონფერენციაზე გვაქვს საგნობრივი საუბარი ექიმის მოვალეობაზე, მის მორალურ სახეზე, იმაზე, რომ მეან-გინეკოლოგია მედიცინის ის განხრაა, რომელიც განსაკუთრებით მაღალ მორალურ თვისებებს მოითხოვს და ყველას არა აქვს ზნეობრივი უფლება იმუშაოს ამ დარგში. ქვეყნად ახალი სიცოცხლის მოვლინებაში მონაწილეობა, დედისა და ჩვილის გადარჩენისათვის ბრძოლა თავისთავად უაღრესად კეთილშობილი, უანგარო, მაღალი მოვალეობაა, რაც შეუთავსებელი უნდა იყოს ანგარებასთან.

— „ბევრი შვილი საქართველოს უკვდავებაა", — თქვა ახალგაზრდობასთან შეხვედრაზე რესპუბლიკის ხელმძღვანელმა".

შვილთა მრავლობაში თქვენმა სამსახურმა თავისი წონიანი სიტყვა უნდა თქვას. რა მუშაობა მიმდინარეობს და რა პერსპექტივები გაქვთ ამ მხრივ?

— პერსპექტივა, სურვილები და გეგმები დიდი გვაქვს. გვინდა ჩვენი სამშობიარო სახლი საჩვენებელ სახლად გადავაქციოთ. ახლა მთელი კოლექტივი ამ სურვილით არის ანთებული. დიდ დახმარებას გვიწევს ჯანმრთელობის სამინისტრო. ამ რამდენიმე ხნის წინ დიდი რაოდენობით ინსტრუმენტები, იარაღი და ინვენტარი შემოვიტანეთ, მაგრამ გვაქვს პრობლემაც. დიდი ხანია რემონტი არ ჩატარებულა. შენობაც ძველია, თავიდან სხვა დანიშნულებითაა აგებული და საჭიროებს რეკონსტრუქციას.

ფართობი არ არის საკმარისი. 80 საწოლზე გათვალისწინებულ ფართობზე 200 საწოლი გვიდგას. მაგრამ დაგეგმილია რემონტიც და მიშენებაც.

ეს, ასე ვთქვათ, ტექნიკური მხარე.

ჩვენი სამშობიარო სახლი სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ერთ-ერთი სამეანო-გინეკოლოგიური ბაზაა, ამიტომ კათედრაც დახმარებას გვიწევს.

გვაქვს კარგად აღჭურვილი ლაბორატორია, სადაც ორსულთა და გინეკოლოგიურ ავადმყოფთა გამოკვლევას ვაწარმოებთ, ექოსკანირების მეთოდით. კათედრის წარმომადგენლებთან ერთად რთულ გამოკვლევებს ვატარებთ.

მეან-გინეკოლოგიის მუშაობა ეტაპურია. ჩვენს გაერთიანებაშია მეათე ქალთა კონსულტაცია. პირველ ეტაპზე ორსულის გამოკვლევა, რჩევა-დარიგება, პროფილაქტიკურ საშუალებათა გამოყენება, ამბულატორიული მკურნალობა იქ ტარდება. რაიმე პათოლოგიის აღმოჩენისას ავადმყოფს ჩვენთან ვათავსებთ, აქ გრძელდება მისი კვალიფიციური მკურნალობა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან კეთდება ყველა სახის ოპერაცია, აუცილებლობის შემთხვევაში აბორტიც, ყოველმხრივ ვცდილობთ, იგი თავიდან ავიცილოთ. ხოლო უკანონოდ, შინ გაკეთებული აბორტის წინააღმდეგ, რომ იტყვიან ცეცხლითა და მახვილით ვიბრძვით. რაც შეეხება ახალშობილებზე ზრუნვას, ჩვენთან გარდა ჩვენივე პედიატრებისა, მუშაობს პედიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფი — ნეონატები. მათი ხელმძღვანელია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი იური მუჩაიძე.

ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან მკურნალობაში უახლესი მიღწევების გამოყენებას უპირველეს ყოვლისა პედიატრიის ინსტიტუტმა უნდა მისცეს სათავე. ამის მიუხედავად ზოგჯერ გვიხდება ახალშობილთა გადაყვანა ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

განზრახული გვაქვს გენეტიკური გამოკვლევის ლაბორატორიის შექმნა. უკვე ავიყვანეთ გენეტიკოსი. მეცნიერების მიღწევათა ამ დონეზე მუშაობის გარეშე თანამედროვეობას ფეხს ვერ ავუწყობთ.

ახალშობილთა შორის გავრცელდა ზოგი ისეთი დაავადება, რასაც ჩვენ ვუკავშირებთ მშობლების, განსაკუთრებით დედის მიერ ალკოჰოლის, ნიკოტინის ან ნარკოტიკის ხმარებას.

ქალიშვილებმა, ახალგაზრდა ქალებმა, მომავალმა დედებმა უნდა გამოიჩინონ სოციალური შეგნებულობა, ეროვნული სიამაყე, დიდი სურვილი იმისა, რომ ქვეყანას აჩუქონ სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი შვილები. ამ დიდი და კეთილშობილური მიზნისათვის უარი უნდა თქვან სიგარეტზე, ნარკოტიკის თუნდაც მცირე დოზებზე. ამის გარეშე ექიმის ყოველგვარ მცდელობას აზრი ეკარგება და ბავშვიც, თუ ცოცხალი დარჩა, განწირულია არასრულფასოვნებისათვის.

— გამოდის, რომ ასეთი დედა ყველაზე საშიში ბოროტმოქმედი და ყველაზე საშინელი მტერია... თავისივე შვილისა.

— უდავოდ ასეა.

— როგორი იყო შარშანდელი წელი „შვილთა სიმრავლის" მხრივ თქვენს სამშობიაროში?

— სარეკორდო. გასულ წლებში 2400-ზე მაღლა არ ასულა. შარშან, 1982 წელს კი 3795 ქალმა იმშობიარა, დაიბადა 3807 ბავშვი. ხომ არ გაგიკვირდათ?

— კინაღამ. სანამ არ მივხვდი, რომ ზოგ ბედნიერ დედას ერთის მაგიერ ორი შვილი შეეძინა. საინტერესოა, დღე-ღამის რომელ მონაკვეთში იბადებიან უფრო მეტად?

— იცით, მეანობა ღამის სამსახურია. ჩვენთვის უძილობა ჩვეულებრივი მოვლენაა, რადგან ბავშვები უფრო მეტად ღამით იბადებიან.

— როგორც ყველგან, თქვენც გყავთ ალბათ მოწინავენი, ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობენ კოლექტივში.

— ცხადია, თუნდაც პროფესორი მიხეილ გიგინეიშვილი, ექიმები ეთერ შუშანია, დოდო კოპალაძე, ზურაბ ყაჭეიშვილი, ალექსანდრე ლაბარტყავა, დავით ქორიძე, ლია კვირკველია, ავთანდილ კერძაია, ლალი დოლიძე; მეჯდები დარია მაისურაძე ელენე გოგაშვილი, მარო გოგორიშვილი... ძალიან ბევრია, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა...

მაშინ ექიმს ნებართვა ვთხოვე რამდენიმე ბედნიერ დედას გავესაუბრები, დიდხანს არცერთს არ შევაწუხებ-მეთქი. ჩამაცვეს ხალათი და პალატებისაკენ გავსწი-

ეთ, სადაც შედგა ეს რამდენიმე ბლიც-ინტერვიუ ახალგაზრდა დედებთან.

პალატაში ორნი წვანან. ორივე ახალგაზრდა, ლამაზი, გახარებული იმით, რომ გოგონები ჰყავდათ და ახლა ორივეს ბიჭი შეეძინა.

პირველად ახლადდაბადებული ერეკლე ციციშვილის დედას ნუნუ ჯახველაძეს გავესაუბრე.

— ანა მყავდა, ახლა ერეკლე შემეძინა. მე ფსიქოლოგი ვარ, მეუღლე არქიტექტორია.

— კიდევ თუ გააჩენთ?

— მეუღლეს კი უნდა, მაგრამ...

— რა მაგრამ, გვარი არ გივარგა თუ სახელი, — გავეხუმრე, — საქართველოს ბევრი ანა და ერეკლე სჭირდება. ბევრი თამარი, ჯარჯი, ნესტანი, კახაბერი...

— 23 წლისა ვარ, ახლა მეორე შვილი შემეძინა, მაგრამ ალბათ კიდევ გავაჩენ, — თქვა ლეილა ხუხაშვილმა. — იცით, პირობებსაც აქვს მნიშვნელობა.

— მთავარი შეგნებაა და მონდომება, — ჩაერია საუბარში ექიმი ფატმა დიასამიძე, — მე სარდაფში ვცხოვრობდი, მა-

თინა შატაკიშვილი





ნოდარ ლანდია

გრამ სამი შვილი გავზარდე. პირობები გვიან შემექმნა. ამისათვის რომ მეცადა, ვერც ერთს ველარ გავაჩენდი. ახლა სამივეს ორ-ორი ჰყავს და სულ ვეხვეწები კიდევ მაჩუქეთ შვილიშვილები-მეთქი.

— პირველი შვილია? — ვეკითხები მანანა ცინცაძეს.

— დიახ.

— რა დაარქვით?

— კოკა.

21 წლის მარინე სამხარაძეს, რომელსაც გუშინ შეეძინა ირაკლი, სამი შვილი კიდევ სურს.

— მეუღლე სწავლობს, მაგრამ კარგი დედამთილი მყავს, ის მომეხმარება.

მესამე შვილი რომ ეყოლა, ისეთი დედა ძლივს ვიპოვეთ. იამზე ქვაცაბაია. სამი შვილი, ყველა ვაჟკაცი, აჩუქა იამზემ თავის ქვეყანას. ექიმი ნოდარ ლანდია დინჯად ჩაერია საუბარში:

— მონდომება, ჩემო ბატონო და შეგნება წყვეტს ყველაფერს, მამაჩემს 16 დაძმა ჰყავდა.

მაშინ სხვა იყოო, მეტყვით. კარგი, ბატონო, ახლანდელს ვეტყვით: რძალი მყავს ოპერის მომღერალი — ხუთი ბიჭი ჰყავს. არ არის პატივისცემის ღირსი?

— რას ბრძანებთ, თაყვანისცემის ღირსია.

ის-ის იყო პალატიდან გამოსვლას ვაპირებდი, რომ ფანჯარასთან მიდგმული საწოლიდან ერთი კნაჭა გოგო წამოიწია — როგორც მერე შევიტყე, საავიაციო ქარხნის მუშა ნონა კუხალეიშვილი ყოფილა.

— ახლა მეორე გოგო შემეძინა. ათი გოგონაც რომ შემეძინოს, მეთერთმეტეს მაინც გავაჩენ.

— მეთერთმეტე უსათუოდ ბიჭი იქნება. ამას მეცნიერები ამტკიცებენ. ასე არაა, ბატონო ნოდარ? — თვალი ჩავუკარი ექიმს.

— მეთერთმეტე? მეთერთმეტე ყოველთვის ბიჭია. თან ყველას ის სჯობს, — დამიდასტურა ექიმმა შეუვალი ტონით.

...ღიმილით დავტოვეთ პალატა, სადაც 15 წუთში უკვე მოშივებული, კომბოსტოსავით მჭიდროდ გამოკრული, საყვარელი, ჯანსაღი და საიმედო... საქართველოს მომავალი უნდა შემოეყვანათ.

ნარგიზა მგელაძე



# გამოცდილების სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როცა ფოთოლს კრეფს...

იმ დღეს, როცა გაზეთებში სასიხარულო ამბავი გამოქვეყნდა, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმეს კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში ზეიმი გაიმართა.

— რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როცა ქვეყანაში შრომითი დიდების ორდენის ერთ-ერთი პირველი სრული კავალერი შენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ხდება, — თქვა პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველმა მდივანმა კარლო ქაჯაიამ. — მაგრამ კიდევ უფრო სასიხარულოა, რომ ეს პატივი სწორედ ჩვენი რაიონის კოლმეურნეს ერგო წილად. ეთერ ცირამუას თავდადებული შრომა ღირსეულად დაფასდა.

სამ ათეულ წელიწადზე მეტია იგი პლანტაციებში შრომობს და ყოველწლიურად სარეკორდო მოსავალს იწევს. ეს კი ადვილი საქმე როდია, მითუმეტეს მეჩაიეობაში, სადაც მუყაითობასა და სიბეჯითესთან ერთად საჭიროა ჩაის ბუჩქის მოვლა-პატრონობის რთული აგროტექნიკის საფუძვლიანი ცოდნა, ერთნაირი გატაცებით შრომა ყველა დროსა და ყოველგვარ ამინდში.

მშრომელი ადამიანის ძვირფასი თვისებები ეთერმა მშობლებისაგან შეითვისა. დედამისი — ლუბა პირველი სტახანოველი ქალი გახლდათ ხაბუმეში, მამა — სამსონი — ლენინური პარტიის ძველი ჯარისკაცი — კოლმეურნეობის ერთ-ერთი მოწინავე ბრიგადირი იყო. ეთერი თავისუფალ დროს დედას დაჰყვებოდა პლანტაციაში და ჩაის ფოთლის კრეფაში ეხმარებოდა. მალე მთელ რაიონში გაითქვა სახელი. მეცხრე კლასის მოსწავლე კომკავშირის ჩხოროწყუს რაიკომის ბიუროს წევრად აირჩიეს. მეთერთმეტე კლასის მოსწავლემ უკვე შვიდი ათასი ტონა „მწვანე ოქრო" მოკრიფა. იმ წელს იგი სკკპ წევრად მიიღეს.

იყო დრო, როცა ეთერი სხვებისაგან სწავლობდა, დადგა დრო და თვითონ ასწავლის სხვებს. „ცირამუას სკოლა" მრავალმა ჩხოროწყუელმა ახალგაზრდამ „დაამთავრა". ისინი დღეს საყვარელ დამრიგებელს ეჯიბრებიან შრომაში. რაიონი რომ ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს ჩაის მწვანე ფოთლის ჩაბარების გეგმას, ეს მათი ღვაწლიც არის.

ყველას, ვისაც კი ბედნიერება ხვდა წილად უხვი მოსავლის ოსტატის გვერდით ემუშავა, ვინც მასთან მიდიოდა რჩევისათვის, ვისაც მან ასწავლა შეუპოვრობა მიზნის მიღწევაში, ერთი სიტყვით ვინც „ცირამუას სკოლა გაიარა", თვითონ გახდა მოწინავე. გულნარა ჩიტაიას, ჟენია ვეკუას, ნანა შენგელიას, დარეჯან გახარიასა და ბევრ სხვას ცხოვრებაში იღბალი ჰქონიათ: მათ შრომითი ბიოგრაფიის დასაწყისში შეხვდათ მცოდნე, მკაცრი და კეთილი დამრიგებელი ეთერ ცირამუა.

მაინც რით აღწევს ეთერ ცირამუა ასეთ თვალსაჩინო წარმატებებს? ამ შეკითხვაზე სოფელ ხაბუმეს კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა აკაკი გულუამ გვითხრა:

— ეთერმა დაღლა არ იცის. მთელი მალით შრომობს ჩაის პლანტაციებში. იგი თავის ნაკვეთში სხვებზე ადრე მიდის და სამუშაოდან სხვებზე გვიან ბრუნდება. მისი პლანტაცია მუდამ ხარისხისნიშნიანია — ჩინებულად გაფორმებული ჩაის შპალერის სწორი რიგები, კარგად მოვლილი მწკრივთაშორისები. იქ ვერ ნახავთ მეჩხერიანობას, ყველა სამუშაო სრულდება აგრონესების შესაბამისად და ოპტიმალურ ვადებში. ბუნებრივია, რომ შრომისადმი ასეთი დამოკიდებულების დროს მისი უკუგებაც მაღალია.

ეთერ ცირამუა განსაკუთრებით კარგად ფლობს ჩაის ფოთლის კრეფის რთულ პროცესს. სასიამოვნო სანახავია, როცა მისი მოქნილი თითები სწრაფად და ნაზად დაცურავენ ბუჩქებში, თითქოს არც კი ეხებიან დუყებს. მისი ოსტატობა ნამდვილი ხელოვნებაა. კუნთის ყოველი დაძაბვა ერთ წამში მოკრეფილი ხუთი მოვერცხლისფრო-მწვანე ყლორტია. ყოველ წუთში იგი სამოცამდე მოძრაობას ასრულებს. ეს სამასამდე ფოთოლია. როცა ჩაის ფოთოლი მთლიანად შემოდის საკრეფად, ეთერი დღეში ზოგჯერ ას კილოგრამსაც კრეფს. ეს იმას ნიშნავს, რომ შეასრულა სულ ცოტა ორასი ათასი ელემენტარული მოძრაობა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი ენერგიაა საჭირო! ტყუილად როდი ამბობენ: მეჩაიის შრომა ნამდვილი გმირობააო.

მეჩაიეს სისწრაფესთან ერთად საზრიანობაც მოეთხოვება. ეთერი ამ სიკეთესაც შესანიშნავად ფლობს. იცის, რომელ მომენტში რომელი ფოთოლი უნდა მოწყვიტოს. მაგალითად, სულ რაღაც ერთი საათის წინ იგი ნაადრევი იყო, ხოლო ხვალ უკვე გვიან იქნება — გაუხეშდება, საუკეთესო თვისებებს დაკარგავს. ეთერიმ ისწავლა ხელის უბრალო შეხებით ან თვალის ერთი გადავლებით შემოსული დუყის შემოუსვლელისაგან გარჩევა — ოდნავ შესამჩნევი ფერის ცვლილებით, ფორმითა და სიდიდით.

— ჩაის ბუჩქის ერთ კვადრატულ მეტრ ზედაპირზე დაახლოებით ოთხი ათასი ფოთოლია. მაგრამ უნდა მოიკრიფოს მეათედი ნაწილი, თანაც მხოლოდ ქორფა დუყები, სადაც ოთხი-ხუთი ნაზი ფოთოლია წამოზრდილი. ამათგან ვწყვეტთ — ორ-სამს, რომ არ გაუხეშდეს, მაშასადამე, არ დაიკარგოს ხარისხი. უხარისხო ფოთლისაგან კი — ცხადია, პროდუქციაც უხარისხო მიიღება, — გვითხრა ეთერიმ.

— სოფლის მეურნეობაში არ არის მეორე ისეთი შრომატევადი კულტურა, როგორიც ჩაია. იგი მთელი წლის მანძილზე მოითხოვს გულმოდგინე, დაძაბულ შრო-

მას. თითოეული ბუჩქი ირწყვება არა მხოლოდ ეგრეთწოდებული „სუბტროპიკული წვიმით“, არამედ მეჩაიეთა ოფლითაც. ამ პროფესიას სწორედ ეთერის მსგავსი ყოვლისშემძლე და ჭკვიანი ადამიანები თუ შემორჩებიან, — თქვა კალინინის სახელობის კოლმეურნეობის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ შალვა ჩიქოვანმა.

„ხატოვანი გაზვიადებაა“, გავიფიქრე გულში, მასპინძელი თითქოს მიმიხვდა, საკუთარი ბიბლიოთეკიდან საკმაოდ სოლიდური წიგნი გადმომიღო და სიტყვასიტყვით წამიკითხა:

— ჰექტარი ჩაის პლანტაციის მოვლა-დამუშავებისა და კრეფისათვის საჭიროა ხუთასამდე კაცდღე. სამჯერ მეტი, ვიდრე ერთი ჰექტარი ბამბის პლანტაციისათვის და კიდევ: ჰექტარი ჩაის შრომატევადობით ორმოც-სამოც ჰექტარ მარცვლეულის ნათესს უდრის.

— რომელი წელი იყო თქვენთვის ყველაზე ძნელი?

ამ შეკითხვაზე ეთერი არ დაფიქრებულა, პირდაპირ აღიარა — მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წელიო, თანაც დასძინა:

— მართალია, ამ წელს გაპიროვნებული ერთი ჰექტარი პლანტაციიდან თორმეტი ტონა მაღალხარისხოვანი ფოთოლი — გეგმაზე ორჯერ მეტი — მივიღე, მაგრამ ასეთ მაღალ მაჩვენებელს მივაღწიე მეტისმეტად ძნელ პირობებში, უკანასკნელ ათ წელიწადში. ეს წელი ყველაზე არასახარბიელო იყო ამინდის მხრივ. ჯერ იყო და სიცივემ და წვიმამ გაგვაწვალა მეჩაიეები, ბუჩქის ვეგეტაცია თითქმის ერთი თვით დაგვიანდა. მერე გვალვა და ქარ-სიცხე დაიჭირა, რამაც ცხადია, უარყოფითად იმოქმედა მოსავალზე. მე და ჩემი მეგობრები ბრიგადაში დაძაბულად ვშრომობდით. ყველას კარგად გვესმოდა, რომ 1982 წლის გეგმის ჩავარდნა უარყოფითად იმოქმედებდა ხუთწლედის საერთო მაჩვენებლებზე. ამასთან ეს იყო ჩვენი დიდი ქვეყნის — სსრ კავშირის შექმნის მე-60 საიუბილეო წელი, რესპუბლიკის თითოეული მშრომელის თავისებური გამოცდის წელი. ჰოდა, ამ დროს თავს ხომ არ შევირცხვენდით, განსაკუთრებული თავდადებით ვიშრომეთ და კიდეც გავიმარჯვეთ.

ამას წინ უძღოდა სხვა გამარჯვებები. მეათე ხუთწლედში ეთერ ცირამუამ ვალდებულება აიღო 0,7 ჰექტარ ნაკვეთზე 27,1 ტონა ჩაის ფოთოლი მოეკრიფა. ამ მიჯნაზე იგი გავიდა არა ხუთ, არამედ სამ წელიწადში. ხოლო 1980 წელს მის პირად ხუთწლედში იყო 65 ტონა „მწვანე ოქრო“. აქედან პირველმა ხარისხმა თითქმის 80 პროცენტი შეადგინა. კალინინის სახელობის კოლმეურნეობა სამშობლოს ყოველწლიურად აძლევს 1300-1400 ტონა ჩაის ნედლეულს, და თუ მეურნეობამ რამდენიმე ასეული ტონის გადაჭარბებით შეასრულა მეათე ხუთწლედის გეგმები და ვალდებულებანი, ამაში მონინავე მეჩაიის ეთერ ცირამუასა და მისი კოლეგების დიდი დამსახურებაცაა. ხუთი წლის მანძილზე კოლმეურნეობაში ჩაის ფოთლის საშუალო მოსავლიანობამ 9.700 კილოგრამს გადააჭარბა, ეთერ ცირამუას ნაკვეთში კი 13.100 კილოგრამს მიაღწია.

ჩაის უხვი მოსავლის ოსტატი ფიქრობს, რომ არ არსებობს ცუდი პლანტაცია, თუ გიყვარს საქმე, პატიოსნად შრომობ, მტკიცედ იცავ აგროტექნიკას. მუშაობის მრავალი წლის მანძილზე სახელგანთქმულმა მეჩაიემ არა ერთი „ცუდი პლანტაცია“ აქცია უხვმოსავლიანად, და ბევრსაც პირადი მაგალითით ასწავლა ამგვარი შრომა.

სამშობლომ დიდად დააფასა კომუნისტ ეთერ ცირამუას შრომა. მის მკერდს ამშვენებს ლენინის ორდენი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენი, სამივე ხარისხის „შრომითი დიდების“ ორდენი, მედლები. იგი მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის XXI, XXIII და XXV ყრილობების მუშაობაში, იყო სკკპ XXV ყრილობის დელეგატი, არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად; არის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მინიჭებული აქვს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის წოდება, არჩეულია ჩხოროწყუს რაისაბჭოს დეპუტატად, კოლმეურნეობის პარტიული ბიუროს წევრად...

ჩინებული მეუღლე, ალერსიანი დედა, ბებია, — ასეთიც არის ეთერ ცირამუა. მეუღლედ ჰყავს მასავით სახელოვანი კოლმეურნე, აგრონომი იროდი შენგელია. მათ გაზარდეს ხუთი შვილი, ზრდიან შვიდ შვილიშვილს. ჩემი შვილების იმედი მაქვს, არც ოჯახების გამრავლებაში ჩამომრჩებიან, და არც შრომაშიო, — ამბობს ეთერი, — შრომამ ბედნიერება მარგუნა, სიხარული და საქვეყნო აღიარება მომიტანა, — დაფასება მიასკეცებს ენერგიას. მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წელს გადაწყვეტილი მაქვს არ დავჯერდე მიღწეულს, უფრო მაღალი ზღუდეები დავლაშქრო, სამშობლოს მივცე 13,5 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რომელიც მთლიანად პირველი ხარისხისა იქნება. ხუთწლედის დავალებას სამ წელიწადში შევასრულებ. რის საფუძველზე ვაპირებ ამას? კვლავაც ენერგიის დიდი დაძაბვით, შრომის სწორი ორგანიზაციისა და დისციპლინის დანერგვით, რაზეც მტკიცედ მიგვითითა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმმა, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა.

ეთერ ცირამუას მთელი ცხოვრება, მისი სახელოვანი შრომითი გზა, რომელიც სამშობლოს საპატიო ჯილდოებით აღინიშნა, ამის გარანტიაა.

დავით ბიწაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი წერეთელი

## რამ გადაგვარჩინა

თავს მაღლა რომ სწევდნენ,
სხვები რომ უქირდავთ,
ბევრი სახელმწიფო გამქრალა რუკიდან.
რადგანაც ერისთვის ვერ იტარიელა,
უძეგლოდ მარხია ბევრი მკვდარი ენა.

გარჯის უმადური ქვეყანა დახჯილა,
მიწის სიყვარულმა ჩვენ გადაგვარჩინა.
მიწაზე მიბმული ვართ ანთეოსივით,
მამულიც ამიტომ გვაქვს ნათელმოსილი.

გვიხსნა ფარნავაზმა ანძით არნახულით,
ხმალით, ანბანით და განძით დამარხულით...
შვილმა რომ მშობელი ღმერთქალად აქცია,
ჩვენ გვიხსნა იმ ქალმა,
მცხეთამ და ვარძიამ.

ჯვარი — მიმატება მახვილის ტარია,
ჩვენი ხსნა იმათგან ნაგვირისტალია.
გვერდში დიდი ერი გვიდგას არწივული,
ჩვენ რომ შეგვიფარა,
სხვისგან განწირული.

ლხინმა შეგვინახა ძმისთვის გამართულმა,
როცა შეჭინჭილდა, —
ისიც აქართულდა.
როცა გველეშაპმა ცხრა გზა დაგვიცოფა,
გვიხსნა მორდუობამ და ძმადნაფიცობამ.

ვუხსნივართ სამშობლოს ბედზე გამწარებულს.
იმ ცხრა ძმის დედას და ქეთევან წამებულს.
კვლავ დგას ქართვლის დედა ერის
ცათამბჯენად,
ახლაც მის ხელშია ენის გადარჩენა.

მოვლა მამულის აქვს ვალად დადებული,
მოჰყავს ბოკვერები ხმალატატებული,
რვალი მადნეულის ალაპლაპებული
მოაქვთ,
რომ დაიცვან მამაპაპეული.
მოსდევს ქალი, — დედა უბიწო პატარებს
სფეროს ორნახევარს უბით რომ ატარებს.

დედამ გულის ცეცხლით ერთად
შეგვამტკიცა,
მოაქვს თბილი უბით დედას დედამიწა!..
უნდა დედამ გვიხსნას
ჩვენც და დედამიწაც...



ეროვნული ბიბლიოთეკა






# გილოცავთ!

ქალთა პირველი საჭადრაკო „ოსკარი“ წილად ხვდა ჭადრაკის ხუთგზის დედოფალს ნონა გაფრინდაშვილს. ეს თვალსაჩინო ჯილდო ქართველ დიდოსტატს, 1982 წლის ბრწყინვალე შედეგებმა მოუტანა.

1983 წლის საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ:

ვირსალაძე ელისო კონსტანტინეს ასულს — ბოლო წლების საკონცერტო მოღვაწეობისათვის.

ისაკაძე ლიანა ალექსანდრეს ასულს — 1980-1982 წლებში საკონცერტო მოღვაწეობისათვის.

თაყაიშვილს სესილია დიმიტრის ასულს — ბოლო წლებში შექმნილი მხატვრული სახეებისათვის.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია გულითადად ულოცავს ლაურეატებს დამსახურებულ ჯილდოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტონ რუსიძე

# ნანის დაბადების დღე

მოთხრობა

მხატვარი ნანა მესხიძე

— გაიხედე, მურმან, ქუჩის მარცხენა მხარეს და იმ ცოცხალ ქანდაკებას დააკვირდი, ტანზე რომ თხელი სვიტერი და ჯინსის შარვალი შემოუსალტავს. ნაკვთები ისე ემჩნევა, თითქოს არაფერი ეცვას!

მურმანმა თავი ასწია, წინ გაიხედა და უცებ გულში რაღაც ჩასწყდა: ის „ცოცხალი ქანდაკება" ხომ ნანი იყო!

— ახლა შენ, ამ ახალგამომცხვარ ექიმს, მაგისთანა ცოცხალი ქანდაკება რომ ამოგიდგეს გვერდში, ისიც სოფელში, მაშინ იკითხე პრესტიჟი, პატივი და დიდება! ხომ მართალია?.. კარგად იყავი ახლა, ნახვამდის!

მურმანმა ძლივს გახსნა მუშტი, რომ თანამგზავრისათვის გამოსამშვიდობებლად ხელი გაეწოდებინა. თითქოს მხრებიდან მძიმე ტვირთი მოიშორაო, ერთი ღრმად ამოისუნთქა, მაგრამ იმ წამსვე მწარედ გაეღიმა: რას კუმშავდა მუშტებს, თანამგზავრისთვის რატომ უნდა ეცემნა? იმიტომ, რომ „ცოცხალი ქანდაკება" მასხარად აიგდო? კი, მაგრამ მისი „მოკაზმულობა" ხომ მურმანსაც უშლიდა ნერვებს! მწარე სიმართლის თქმისათვის, ვინმეს ჩხუბს როგორ აუტეხდა! უთუოდ უბრალო თავმოყვარეობის ამბავი გახლდათ: მურმანი ფიქრობდა: რაკი იმ „ცოცხალ ქანდაკებასთან" ჩემი დამოკიდებულებისა არა იცის რა, ეს როხროხა თანამგზავრი აი ახლა, აი ახლა ლაზათიანად შეაგინებს და ამას ველარ შევარჩენო...

— რა იპოვე ამ დაბზარულ ასფალტზე, თვალი რომ ვერ მოგიშორებია? — ჩაესმა მურმანს ქალიშვილის წკრიალა ხმა. — სალუტ, მუ!

მურმანმა ახედ-დახედა. „მართლაც თითქოს არაფერი ეცვას!" — გაიფიქრა და უნებლიედ გაეცინა.

— რა გაცინებს, მუ? — დიდრონი თაფლისფერი თვალები დაკვირვებით მიანათა ქალიშვილმა. იმ თვალებს გარდა, მას ყველაფერი შეეღება: ქუთუთოები მოლისფრად უბზინავდა, წარბები შავ ნურბელებს მიუგავდა, მხრებზე ჩამოშლილი თმები ჩალისფრად უღელავდა, ტუჩები, ხელისა და ფეხის ფრჩხილები შინდისფრად ულაპლაპებდა. ბუნებრივი მხოლოდ ხმა შერჩენოდა, წკრიალა ხმა.

— ნუ ამოგიჩემებია ეს „მუ"! მე მურმანი მქვია! — ხმადაბლა შენიშნა ვაჟმა.

— ეგ ისეც ვიცი, ჯობს გამაცილო.

— საით გაგიწევია?

— თუნდაც ქვეყნის დასასრულამდე. არ წამოხვალ, თუ?!

მურმანმა უკმაყოფილოდ გაიქნია თავი. სიტყვა აღარ უთქვამს, მიბრუნდა და მორჩილად გაჰყვა. ქალიშვილი ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მიაბიჯებდა. გამვლელ-გამომვლელთაგან მას ზოგი ჯიქურ, ზოგი შემპარავად აკვირდებოდა, ზოგიც ჩაუვლიდა და მერე ისევ მოუხედავდა, თან გამკილავად ჩაიღიმებდა ხოლმე.

— რატომ არ მეუბნები, რაზე გაგეცინა? — შეახსენა ქალიშვილმა

— აუცილებლად უნდა გითხრა?

— აუცილებლად!

— რატომ?

— იმიტომ, რომ შენ არასოდეს ჩემთვის ასე არც შემოგიხედავს და არც გაგიცინია. მე ქალი ვარ და მაშინვე ვიგრძენი, მუ!

მურმანი ჯერ შეცბა, თითქოს ცუდ საქციელზე წაასწრესო, შემდეგ კი გაოცდა, რა გამოცდილი, დასრულებული ქალივით მელაპარაკებაო. სადღა იყო გრძელნაწნავიანი მორცხვი გოგონა, ამ სამი წლის წინათ მატარებელში რომ გაიცნო! მერედა, როგორ ამშვენებდა ის მსხვილი ნაწნავიცა და მის ბოლოზე მიბნეული სიფრიფანა ბაფთაც, დიდ ყვითელ პეპელას რომ წააგავდა! რის ფერუმარილი, რის საღებავები, სუნამოები და სხვა კოსმეტიკური აღჭურვილობა! ხელპირს ჩვეულებრივ, ალბათ, წყაროს წყლით იბანდა და ოდნავ მზედაკრული, კრიალა სახე მაისის ვარდივით უნათებდა. ისეთი ბუნებრივი, უშუალო და ხალასი ჩანდა, რომ იფიქრებდით, სულში ჩავიძვრენო. ასე გაიფიქრა მურმანმაც, როცა თავისი ქვემო საწოლი დაუთმო, ხელბარგის ჩალაგებაში დაეხმარა და აღარ იცოდა, კიდევ რით ესიამოვნებინა. ქალიშვილიც ერთბაშად მიენდო. ჰოდა, რაღა დააძინებდათ, სიბნელეში საწოლის კიდეზე ჩამოსხდნენ, ერთმანეთს გული ახალგაზრდული სიწრფელით გადაუშალეს და ერთი ნახვით შეყვარების ამბავიც ირწმუნეს...

მაშინ ის-ის იყო, მურმანმა სამედიცინო ინსტიტუტის მესამე კურსი „დახურა". ის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა, ნანის კი ბინის მხრივ არა უჭირდა რა, მკვიდრ დეიდასთან ცხოვრობდა, თუმცა... ნეტავი სრულებით არ ჰყოლოდა ის შინაბერა, ყოფილი მოცეკვავე, ის მოდებს გადაყოლილი დეიდა! აქაოდა, დისწული თანამედროვე კულტურულ ქალად უნდა გამოვჩარხოო, ნანის სწორედ მან გაუფუჭა გემოვნება: შეაჭრევინა ნაწნავი და მხრებზე ჩამოაშვებინა დალალები, შეაღებვინა თმა და გაათხუპნინა ქუთუთოები, დაახარბა უცხოურ ტანსაცმელფეხსაცმელსა და ყოველგვარ ზიზილ-პიპილას, შეაყვარა კაკაფონია და ველურივით მანჭვა-გრეხა. იმ დედაკაცს რაღაც სასწაულმოქმედი ჯადო თუ მაგიური ძალა ჰქონდა და მურმანმა ქალიშვილი ვერ გადმოიბირა, თორემ რა არ იღონა: ხან დაუყვავა და დაარიგა, ხან წაეჩხუბა და დაემდურა, ხან უალერსა და ემუდარა... ცხადია, თავიდან ხეირიანად აღზრდა უფრო ადვილია, ვიდრე უხეიროდ აღზრდილის გადაკეთება; მაგრამ რაკი ის გოგო მურმანმა გულიდან ვერ ამოიძირკვა, კვლავ და კვლავ უნდა სცადოს თავისი, თუმცა ბევრი კირკიტის დროც არ დარჩა, მალე მთაში უნდა გაემგზავროს სამუშაოდ. ჰოდა, იმ როხროხა თანამგზავრის თქმისა არ იყოს, ნანი კიდევაც რომ გაჰყვეს, ექიმმა კაცმა „ცოცხალი ქანდაკება" როგორ ამოიყენოს გვერდში?!

— მე გელოდები, მუ! — კვლავ შეახსენა ქალიშვილმა.

მურმანი ფიქრებიდან გამოერკვა.

— ვიდრე მომიახლოვდებოდი, მაღალი კაცი სიცილ-ხარხარით რომ გამშორდა დაინახე?

— დავინახე, მა რა! ვინ იყო?

— სახელი და გვარი არ მახსოვს. ვიცი, რომ ასპირანტია. ამ ორი თვის წინ შენმა მოყვარემ გამაცნო.

— რომელმა მოყვარემ, მუ?

— რა ბევრი ნათესავ-მოყვარე შენ გასევია, რომ აგერიოს! ერთი ძვირფასი დეიდა გყავს და ერთიც — მსახიობი კოკი, რომელიც იმავე ძვირფასი დეიდის მეზობლად, პირველ სართულზე ცხოვრობს.

— თუ შეიძლება, ძვირფას დეიდას მოეშვი... რა ახარხარებდა იმ თქვენს ასპირანტს?

— შენ რომ დაგინახა...

— მეე? ღმერთო მომკალი! რა მქონდა მისი სასაცილო, მუ?!

— ტანისამოსი, ნანი, გენაცვალე... თითქოს არაფერი ეცვასო! ქალიშვილს არ სწყენია. ჩაეცინა.

— ყველაფერი გასაგებია, — კმაყოფილებით თქვა მან.

— მე კი ვერ გამიგია, — განაგრძო მურმანმა,—რატომ ხდება, რომ დეიდას უფრო უჯერებ ვიდრე მე. რად გინდა ასეთი ჩაცმულობა და სალებავები, მით უმეტეს, როცა, როგორც შენვე ხშირად გითქვამს, ამნაირი რამეები შენს მშობლებსაც, იმ პატიოსან კოლმეურნეებს ყელზე ადგებათ...

მურმანის გასაოცრად, ქალიშვილი შეკამათებას არ უპირებდა. გზაჯვარედინთან მურმანი ახალფეხადგმული ტყუპი ბიჭების დედას, სრულიად ახალგაზრდა, ასე, ნანის ხნის ქალს დაეხმარა საბავშვო ეტლის ტროტუარზე გადაყვანაში, ქალიშვილს დაეწია, ნაბიჯი შეუწყო და განაგრძო:

— აი, უკვე აღარ ვიცი, მერამდენედ გიმეორებ, რომ გულში წამითაც არ გაივლო, თითქოს მე მოდების წინააღმდეგი ვიყო, მოდის წინააღმდეგ მხოლოდ სულელი წავა. მოდა ძალზე რთული მოვლენაა, ის ყოველ საზოგადოებაში თავისებურია და ადამიანთა კულტურა-განათლებაზე, გემოვნებასა, მოთხოვნებსა და შესაძლებლობაზეა დამოკიდებული. თითოეულმა თავის შესაფერისად უნდა ჩაიცვას. რა თქმა უნდა, მატერიალური შესაძლებლობის გათვალისწინებით, რომ დამშვენდება, ყველამ ისე უნდა ჩაიცვას და არა ისე, მეზობელს ან სხვა ვინმეს რომ აცვია... შენი დღევანდელი ჩაცმულობა, მაგალითად, მოდის ნამდვილ მცოდნეთა, ჭეშმარიტად კულტურულ ადამიანთა თვალში სასაცილოდ გჯღის. ნესიერი, სერიოზული ქართველი ქალი ასე არ უნდა გამოვიდეს ქუჩაში... დამიჯერე, ნანი, ამას სანყენად კი არა, გულისტკივილით გეუბნები, რადგან შენს ჩაცმა-დახურვას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ჩემთვისაც...

ქალიშვილი ახალშეთეთრებული, ლოჯიებაჭრელებული, ცხრასართულიანი სახლის კედელთან შეჩერდა.

— მოვედით, — თქვა და უცნაურად გაიღიმა.

მურმანმა მიმოიხედა. სკვერში ბავშვები თამაშობდნენ. ნორჩი ჭადრების ხეივანში, ცისფერ სკამძელებზე პენსიონერები ისხდნენ. სადარბაზო შესასვლელიდან ლიფტის ჯგარა-ჯგური მოისმოდა.

— აქ ერთი ჩემი თანაკურსელი სტუდენტი ცხოვრობს, გადასარევი დისკოთეკის პატრონი, — განუმარტა ქალიშვილმა. — ამ საღამოს ჩემსას უსიკვდილოდ უნდა მოვიდეს, ტელეფონი კი დაზიანებია და ვერ დავუკავშირდი... ასე რომ, გამოცილებისთვისაც და ლექციისთვისაც დიდი მადლობა! ხმას დაუწია და საიდუმლოსავით ჩურჩულით ჰკითხა; — ისე, სხვათაშორის, მუ, დღეს რა ისტორიული თარიღია, არ გახსოვს?

— უჰ, მართლა! — შუბლში ხელი იტკიცა მურმანმა. — დღეს ხომ შენი დაბადების დღეა! მომილოცავს! — და ლოყაზე აკოცა.

— აი, ამიტომაც არ შეგეკამათე. არ მინდა, დღევანდელ დღეს ჩხუბი და ნერვიულობა დავიწყო. — ნანიმ ნაძალადევად გაიღიმა. — ისე, საღამოს რვაზე აუცილებლად მოდი, თანაც ეცადე, ცოტა „პო სოვრემიონნო“ ჩაიცვა... ჩაო, ხელი დაუქნია და სადარბაზო შესასვლელში შეგოგმანდა.

„იმ როხროხა ასპირანტთან შეხვედრამ როგორ დამავიწყა, რომ დღეს ნანის დაბადების დღეა! მე ხომ მისთვის საჩუქრის საყიდლად მივდიოდი!“ — გულნაკლულად გაიფიქრა მურმანმა, გზაჯვარედინისაკენ გამობრუნდა, დაძრულ ტროლეიბუსში შეხტა და ვიდრე მგზავრებით გაჭედილი ვაგონის ბოლოდან წინა კარებამდე გავიდოდა, ჭადრებით დაბურულ რუსთაველის გამზირზე სუვენირების მაღაზიასთან აღმოჩნდა.

მაღაზიაში ჭაღარა გამყიდველ ქალს სამი თუ ოთხი უცხოელი ესაუბრებოდა, მუხის ფირფიტით მოპირკეთებულ კედლებზე ეკიდა, პატარ-პატარა თაროებზე ელაგა ან მინის ვიტრინებში ენყო ათასგვარი ბრჭყვიალა ნივთი, ოქროს საათ-სამაჯურებით, ბრილიანტის თვლიანი ბეჭდებით, მძივ-გულქანდებით დაწყებული და ფიალებით, ყანწებითა და გედივით ყელყარყარა, მუქი ყავისფერი სურებით დამთავრებული. თეთრი პლასტმასის ნაჭრებზე ამოტვიფრულ ფასებს რომ გადაავლო თვალი, მურმანი საცოდავად მოიბუზა. ყველაფერი ეძვირა. მას ხომ, ისიც მაშინ, დიდ მომჭირნეობას თუ გამოიჩენდა, მხოლოდ ერთი-ორი თუმნის გამეტება შეეძლო. არც გაემტყუნებოდა და ვერც სიძუნწეს დასწამებდით: მამით ობოლი იყო (ათი წლის წინათ საავტომობილო ავარიაში დაეღუპა), დედა კი, რაიონული შემნახველი სალაროს მუშაკი, ყოველი თვის დამლევს თავისი ხელფასის ნახევარს — ექვს თუმანს უგზავნიდა; ამას მურმანი სტუდენტურ სტიპენდიას უმატებდა და ასე, დღეში საშუალოდ სამ მანეთად გაჰქონდა თავი.

— თქვენ რას ინებებდით, ახალგაზრდავ?

მურმანმა თავი ასწია. უცხოელები წასულიყვნენ და ჭაღარა ქალს მისთვის მოეცალა. დედობრივი კეთილი ღიმილით შემოჰყურებდა.

— საჩუქარი მინდოდა მეყიდა, მაგრამ...

— ოჯახის წევრისათვის, თუ ამხანაგისათვის?

— მეგობრისათვის.

— თუ თქვენი მეგობარი ქალიშვილია და დღეობა აქვს...

— დიახ, დიახ!

— მაშინ აი, ქართული ჭედურების ეს ნახელავი უძღვენით. „სიყვარული“ ჰქვია. არც ძვირია, თექვსმეტი მანეთი ღირს.

— გმადლობთ, დეიდა, შემიხვიეთ!..

მურმანი უკან დაბრუნდა, საერთო საცხოვრებლისაკენ ავტობუსს გაჰყვა. ოთახში არავინ დახვდა. პირველი საწოლის ქვემოდან მოზრდილი ჩემოდანი გამოათრია, ელექტროსაპარსი ამოიღო და პატარა სარკე მოიმარჯვა. სარკიდან მოგრძო პირსახის, შავთვალწარბა, შუბლმაღალმა, ნაადრევად თმაშეთხელებულმა ახალგაზრდამ შემოხედა. მას წვერ-ულვაში თითქმის არ ემჩნეოდა. მურმანმა მაინც გულდასმით გაიპარსა, ბაკების ბოლოები შეისწორა, ერთადერთი ძვირფასი ღია ლურჯი ფერის კოსტუმი ჩაიცვა, თეთრ პერანგზე ლურჯწინწკლებიანი ალისფერი ჰალსტუხი გაიკეთა, ლამაზად შეფუთული „სიყვარული“ იღლიაში ამოიდო და წვეულებაზე ადრიანად გასწია. გზად ორი ტროლეიბუსი გამოიცვალა. ორივე თითქმის ცარიელი იყო, მაგრამ მურმანი არ დამჯდარა — სამიოდე დღის წინათ ბეჯითად გაუთოებულ კოსტუმს გაუფრთხილდა.

ნანის დეიდას, მტკვრის სანაპიროზე, ოროთახიანი ბინა ეკავა ძველებურ ორსართულიან აგურის შენობაში. მის სადარბაზოსთან მისვლამდე ვიწრო ქვაფენილიანი ჩიხი უნდა გაგევლო. ახლა იმ ჩიხშიც და მიმდებარე ეზოებშიც „კალიფორნიული ჰანგები“ გრიალებდა. შეწუხებული მეზობლები კარ-ფანჯრებს ხურავდნენ.

„დაუწყიათ. ნეტავი „გადასარევი დისკოთეკის პატრონის“ ფირია, თუ ძვირფასი დეიდის ფონდისაა?“ — გესლიანად გაიფიქრა მურმანმა და უგუნებოდ აუყვა კიბეს. რატომღაც აღარ ეხალისებოდა იქ გამოჩენა, გული უკან ეწეოდა. ნუთუ წინათგრძნობა იყო?!

კარი ღია დახვდა. არც ნანი ჩანდა, არც მისი დეიდა. ალბათ, სამზარეულოში ფუსფუსებდნენ. მურმანმა „სიყვარული“ დერეფანში მრგვალ მაგიდაზე ფრთხილად დადო, აზრიალებულ ოთახში შეაბიჯა და ხელი ასწია:

— საღამო მშვიდობისა!

მისი ხმა არავის გაუგონია. არც ყურადღება მიუქცევიათ. ორი თუ სამი წყვილი ერთიმეორეს მთვრალებივით აკიდებოდა და ზოზინით ცეკვავდა. ამდენივეს კედელთან მიდგმული ვიწრო მაგიდა ამოეჩჩია, ზურგშექცევით დამსხდარიყვნენ და თავზე ხელი შემოედგათ, ვითომდა მუსიკით ეტკბებითო. ზოგი პირდაპირ იატაკზე, დათვის ტყავზე იჯდა. თითქმის ყველას ფერადმინიანი სათვალე ეკეთა. თითები ნამდვილი თუ ყალბი ოქროს



ბეჭდებით შეეჩირჩხლათ. მღვდელივით თმაწვერმოშვებულ ოთხიოდე ახმახს გარდა, ვერ გაარჩევდი რომელი იყო კაცი და რომელი — ქალი, ერთნაირი მოდუნებული მიხრა-მოხრით, ერთნაირი ავდებული გამოხედვით, ერთნაირი ყალბი პოზითა და მიმიკით ისინი უთუოდ ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, ჩვენ ვეღარავინ და ვეღარაფერი გაგვაკვირვებს, ყველაფრის მნახველი და მცოდნე, ყველაფრით გულმოყირჭებული ადამიანები ვართო. განსხვავებით მხოლოდ მათი ჭრელა-ჭრულა ტანსაცმლის „ფერწერა" განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან: ზოგს თითქოს უცხოური გაზეთები ჰქონდა აფარებული, ზოგს „ბითლზები" ეხატა მკერდზე, ზოგსაც ბეჭებზე ინგლისურად რომელიღაც ფირმის მისამართი ეწერა... რა უნდოდა აქ ნანის, ამათთან რა უნდა ენახა საერთო! გაოგნებული მურმანი სწრაფად გამობრუნდა და... ღია კართან სწორედ ნანის შეეყარა.

— ვახ, რანაირად მორთულხარ, მუ! — ქალიშვილს თვალები გაუფართოვდა, მე ხომ სამეცნიერო ფორუმზე, მოხუც აკადემიკოსებთან შეხვედრაზე არ მომიწვევიხარ! რაღა შენ და რაღა თეთრი შაშვი! თანამედროვე ახალგაზრდასავით ვერ ჩაიცვი რამე?!

— იქ რომ გყვანან, იმათ მსგავსად, არა? — გაჰკეწნლა მურმანმა. — კარგად ბრძანდებოდეთ! — და კიბე ჩაირბინა.

პირველ სართულზე, ხელმარცხნივ, კარის საკეტში გასაღებს აწვალებდა მაღალი, მხარბეჭგანიერი, ხუჭუჭთმიანი კაცი. დიდრონი ბაკები თითქმის უფარავდა ყურებს. გრუზა ულვაში აქეთ-იქით მერცხლის ბოლოებივით ჩამოეშვა. მოკლესახელოიანი ტილოს ბლუზა და ჯინსის შარვალი ეცვა. ნაბიჯების ხმა რომ გაიგონა, მოიხედა, მურმანს მიესალმა და გაკვირვებით ჰკითხა:

— რა გაჩქარებდა, ბიჭო? მე აწი მინდა ვეწვიო, მარა ეს ღმერთძაღლი ვერ გამიღია!

— მიმიშვი, კოკი, იქნებ მე გავაღო! — მურმანმა გასაღები გამოართვა, საკეტში ძალდაუტანებლად გადაატრიალა და კარიც გაიღო.

— ო, შენ აგაშენა ღმერთმა! — კოკიმ მხარზე მოუთათუნა ხელი. — შემოდი აგერ, წავისაუბროთ!

მურმანი შეჰყვა. ღია ფანჯარასთან შეჩერდა. შუბლი მოისრისა.

— შენ, გატყობ ვერა ხარ გუნებაზე. — მასპინძელმა სასადილო მაგიდაზე მაღალფეხიანი ორი მომცრო ჭიქა დადგა და ვარდისფერი „ვარციხით" შეავსო.

— ამით ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს!

გადაჰკრეს.

— იცი რა ხალხია იქ? — მურმანმა ჭერისაკენ აიშვირა ხელი.

მსახიობმა შეშინებული სახე მიიღო:

— პირწავარდნილი სტილიაგები, ჰიპები...

—შენი მოყვარე ქალიშვილიც მათს დონემდე დაშვებულა.

— მისი ცოდვა მის დეიდას მოეკითხოს!

— კი, მაგრამ, თვითონაც ხომ უნდა ებას თავი!

მასპინძელმა თვალი დახუჭა და ულვაშის ერთ ბოლოს წიწკნა დაუწყო. მერე მურმანს საჩვენებელი თითი რევოლვერივით მიუშვირა:

— გენიალური აზრი მომივიდა. მოდი, გამოვცადოთ. ეგებ აღარ უყვარხარ?

— როგორ!

— როგორ და, უბრალოდ! მე ახალ სპექტაკლში ისეთი ახალგაზრდის როლს ვასრულებ, შენ რომ არ მოგწონს. დღეს მკერავმა საგანგებოდ შეკერილი ტანსაცმელი მომიტანა. პარიკი, ფერადმინიანი სათვალე და სხვა ატრიბუტებიც აქა მაქვს. რახან ტანად ჩემზე პატარა ხარ, ტანისამოსს პირდაპირ მაგ კოსტუმზე გადაგაცმევ. ავიდეთ და ვეწვიოთ. ჩემს ზღვისპირელ მეგობრად გაგასაღებ. დასკვნები იმ რეზონანსის მიხედვით გამოვიტანოთ, რასაც მოვახდენთ... კარგი?

— კარგი!

ათიოდე წუთიც და, კედლის სარკესთან მურმანის მაგიერ სულ სხვა კაცი იდგა. აბურდული თმა წარბებამდე ჩამოშლოდა, მაკრატელშეუხებელი ჟღალი წვერი მკერდამდე სწვდებოდა, რქის სქელჩარჩოიანი ბნელი სათვალე ეკეთა, ტომარასავით გვერდებამოკერილი, ფართოჯიბეებიანი ჯინსი ეცვა, ზურგზე კი არშინიანი ასოებით ინგლისურად რაღაც ეწერა.

— ეშმაკიც ვერ გიცნობს! — აღტაცებით წამოიძახა კოკიმ.
— ახლა ეს ფირიც დაიჭი! — მკლავი გამოსდო, კიბეზე აიყვანა, ჯაზური მუსიკით აზრიალებულ ოთახში შეუძღვა და საზეიმოდ გამოაცხადა, — ქალბატონებო და ბატონებო! ყურადღება! გთხოვთ გაიცნოთ და ჯიგარივით მიიღოთ ჩემი მეგობარი გი, ზღვისპირა ქალაქიდან ჩამოვიდა!

ახალმოსულის დანახვა და სტუმართა გამოცოცხლება ერთი იყო. ზოგს მისი თმა-წვერი მოეწონა, ზოგს — სათვალე, ზოგსაც

— ტანსაცმლის მოხატულობა. ნანიმ მაგნიტოფონი გამორთო. ოთახში ერთბაშად ჩამოწვა მძიმე სიჩუმე, რომელიც კვლავ მსახიობმა დაარღვია:

— ნანი, გეთაყვა, გთხოვ ახალ მეგობარს გამოართვა და მოგვასმენინო ფირი, რომელიც მან საჩუქრად გიბოძა!

— საჩუქრად? მეე?.. ო, ახლავე, ახლავე! — დაბნეულად ამოილაპარაკა ნანიმ. — აქეთ მობრძანდი, გი, გენაცვალე! — სტუმარი აივნის ღია კართან მიიყვანა, ფირი მოწინებით გამოართვა და მაგნიტოფონი ჩართო. — ჩემთან ცეკვას ხომ არ ინებებდით?

— დიდი სიამოვნებით! — ყრუ, დახშული ხმით მიუგო მურმანმა, მარცხენა ხელი მხარზე დაადო, მარჯვენა წელზე მოჰხვია და დაფდაფების ბრახუნის შესაბამისად ციბრუტივით დაატრიალა. რომ გეკითხათ, რას ცეკვავო, ვერ გიპასუხებდათ.

— რა მსუბუქად ცეკვავთ! თქვენ ვირტუოზი ყოფილხართ, გი! — შეაქო ნანიმ.

მურმანს სუნთქვა შეეგუბა და თავბრუ დაეხვა. ოღონდ ეს ერთი წამით იყო, უმალ მოაგონდა, რომ ახლა მურმანი კი არა, ზღვისპირელი „გი" იყო. მურმანი ნანის ერიდებოდა, ნანის კი ცოტაღა აკლდა, უსურვაზივით მოხვეოდა. რა მოხდა? რამ მოხიბლა? ეგებ მართლა აღარ უყვარს მურმანი? თუ ასეა, ცოდვა გამხელილი სჯობსო, უთქვამთ, ბარემ ბოლომდე მივყვეთ!...

— თქვენზე თქვეს, საქმრო ჰყავსო, მართალია?

— კოკი გეტყოდათ. ახირებული კაცია.

— ვინ არის ახირებული, საქმრო?

— არა, კოკი, თუმცა ისიც, ვინც ჩემს საქმროდ მიაჩნია, მასზე ნაკლებად ახირებული როდია.

— რას უწუნებთ?

— რა გითხრათ... ცუდი ბიჭი არ არის, მაგრამ... იცით, რა? მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნის კაცსა ჰგავს, თანამედროვეობას ფეხს ვერ უწყობს. ჩემიც ბევრი რამ არ მოსწონს...

— და ამავე დროს გჯერათ, რომ ძლიერ უყვარხართ?

— ნამდვილად!

— თქვენ კი...

თითქოს ატირებას აპირებსო, ნანიმ შეღებილი წამწამები აახამხამა. ლამაზი ყელი კეკლუცად მოიღერა. კანჭმაღალი ფეხები მუსიკის ტაქტზე რიგრიგობით ბალერინასავით აიქნია, წელში გადაიზნიქა, გასწორდა, კავალერს თავი მკერდზე მიადო და სიზმარეული ხმით ნასჩურჩულა:

— როგორც ჩანს, პირველი, გულუბრყვილო, ბავშვური გატაცება იყო... თანდათან ვრწმუნდები, რომ აღარ მიყვარს... არ ისეთი ტიპი რომ იყოს, როგორიც თქვენა ხართ, გი...

მურმანმა ქალიშვილს უცებ მძულვარედ, გამეტებით ჰკრა ხელი, მაგნიტოფონს ეცა და გამორთო, მერე კი გამალებით დაინყო თმა-წვერის გლეჯა.

— ე, ფრთხილად, კაცო, პარიკი არ გამიფუჭო! — შეშფოთებით დაუძახა მსახიობმა, მივარდა და გადაცმული ტანისამოსის გახდაშიც მიეშველა.

ყოველივე ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ სტუმრებმა გონს მოსვლა ვერ მოასწრეს. ნანის დეიდასაც არაფერი გაუგია. თვითონ ნანი კუთხეში მოკუნტულიყო და ცახცახებდა. სახეზე მკვდრის ფერი ედო.

— დიდი მადლობა გულახდილობისათვის, — ცივად უთხრა მას მურმანმა. — ღმერთმა შენი შესაფერი ტიპი შეგახვედროს, მშვიდობით! — და აუჩქარებლად, დინჯად გადააბიჯა ზღურბლზე.

— ეჰ, ნანი, ნანი! — მსახიობმა სინანულით დააწია ბანი, — შენ, ალბათ, ძალიან გვიან მიხვდები, რა ბიჭი, რა ბედი დაგეკარგა შენი უჭკუობით!

## იუმორი

# რქაწითლის ბედი

(ანუ ვერაგობა და სიყვარული)

— გეუბნებოდი, გიგავ, კაცო, ვაზი არ გაკაჭო-მეთქი
მაგრამ როდი გამიგონე, ეგრე გაგიწყრა ღმერთი.
რო ხარ ყოველთვის სხვითა წამხედური,
მიიღე თუ არა რაიკომიდან საყვედური?!
რაც შენ ვენახის გაკაჭვა განიზრახე,
გული დამისერა მწარე სევდამ.
მემრე გაუბედურებული ვენახის დანახვაზე,
იმ დაწყევლილი შაჰაბაზი დრო გამახსენდა.
მთელი თვე იქითკენ ველარ გავიხედე დედაკაცმა,
ვაი, ჩვენო რქაწითელო, შენ ფესვებ ვენაცვალე,
ეგრე დამცირდი, რო საზამთრო გამჯობინა ჩემმა კაცმა?
აფსუს! ჩვენი განკეპილი ვენახი ამ ზამთარ შეშად წავა,
ცხრა ოჯახ წელიწად ეყოფა მწვადი შასაწვავად.
...იჯექ და ანგარიშობდი: ერთ კვ. მეტრ მიწაზე
ერთი ძირი ვაზი კაპიკებ გვაძლევსო,
ერთ კვ. მეტრ მიწაზე ერთი ძირი საზამთრო კი
იმდენ დაისხამს, ორი კაცი ვერ ასწევსო.
მემრე მიადექ და ფეხდგომელა ვენახი წალდით კაცივით წააქციე,
წაიყვანე საზამთრო და მეტი შხამ-ქიმიკატებისა და
მეტი რწყვისაგან გააუგემურე და წყლად აქციე!
— კარგი, გაჩუმდი, ადამიანო, მოთმინებიდან არ გამამიყვანო!
მაშ წიკმაკო მანდარინ იგეთი ფასი?
ჩემი ყურძენი კი... არ მოგივა ბრაზი?
აღარა მითხრა რა, რქაწითელი აღარ გამახსენო,
საზამთრო იმიტომ დავთესე, რომ მიწა უნდა დავასვენო.
ე, რა საყვედურში ჩავვარდი, კაცო, ვაჰ მე!
მემრის ახალ ვაზ ჩავყრი და მემრე მოსავალი ნახე!
ოღონდ ეხლა დამშვიდდი, მარგალიტავ!
— როგო დავმშვიდდე, კაცო, შენი ნათქვამი რო ხარ,
რო არ მაისვენებ, სანამ შენსას არ გაიტან.
მე გულსა მწიწკნის ეგ შენი ოხვრაც
აღარ იდარდო, გეგავ, ჯერ კიდევ არ არის გვიან,
მორჩა „მეყარფუზეს" ველარავინ დაგიძახებს,
შენ ისევ მევენახე გქვიან.

ლ. მარტაშვილი

# მხატვრის ნუთისოფელი


ეროვნული ბიბლიოთეკა

...ქართული დარბაზის ინტერიერში უდიდეს როლს თამაშობს დედაბოძი!

როდესაც სახელოვანმა მხატვარმა ელენე ახვლედიანმა თავის სახელოსნოს ქართული დარბაზის იერი მისცა, ამით სიმბოლიკაც შექმნა (დიახაც, დედაბოძობის შეგრძნებით) და ერთგვარი ქართული დეკორიც, რომელიც ჩინებულ ფონს უქმნიდა მის შემოქმედებას, გუნება-განწყობილებას, ხოლო სტუმართა თვალში იგივე დედაბოძი ღირსეული მასპინძლის ღირს მეტაფორად ჩანდა!

მითუმეტეს გამოიკვეთა ეს მეტაფორა დღეს, როდესაც ქიაჩელის ქუჩაზე, ძველებურ თბილისურ სახლში ყველაფერი ისევეა, როგორც ძველად, მაგრამ აღარ არის მისი მაღალი მასპინძელი, სახალხო მხატვრად აღიარებული, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ქალბატონი ელენე ახვლედიანი, — მშობლიური ქვეყნის წინაშე პირნათელი და ვალმოხდილი ხელოვანი, რომლისთვისაც მიუწვდომელი არ დარჩენილა საქართველოს რომელიმე კუთხე-კუნჭული და თვით... კავკასიონის მოვერცხლილი მწვერვალებიც!

მთა რომ მეტყველი იყოს, ისიც აღიარებდა, რომ არავის ისე არ გადმოუცია კავკასიონის ზვიადი მშვენიერება, ცის თანაზიარი სილურჯე მისი და თოვლით მომინანქრებული მწვერვალების ჰარმონიული ზიგზაგები, როგორც ელენე ახვლედიანს!

...დიახ, ვით იმერეთის ფერთ მესაიდუმლე დავით კაკაბაძე იყო, ისე ამერისა ელენე ახვლედიანი!

...ალაზნის ველი, კავკასიონის ქედი, ძველი თელავი, სიღნაღი, თბილისი, მისი ცხოვრების არსად იქცა! თბილისი ელენე ახვლედიანის შემოქმედების თვალია! მას ჰქონდა შეგულებული ძველ ქალაქში „საგუშაგო", ერთი ძველებური სახლის აივანი და როდესაც ხარფუხის აღმართს შეუყვებოდა, მასში უცნაური გარდასახვა ხდებოდა, — იგი წარსულ დროთა მოქალაქეც იყო და აწმყოსიც; რაც უფრო გადიოდა ხანი, მით უფრო ემოციურად წერდა. ეს კი განაპირობა იმ ლირიზმმა და ინტიმმა, რაც მხატვრისა და დედაქალაქის დიალოგებში იბადებოდა. მის თვალწინ გაშენდა ახალი სახლები და უბნები, მაგრამ მის თვალწინვე წარიშალა ბევრი რამ, რაც მხოლოდღა მის ტილოებზე ცოცხლობს ახლა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ძველი თბილისი საბოლოო ხელყოფისაგან ელენე ახვლედიანის დაჟინებულმა სიყვარულმა, ელენე ახვლედიანის ერთგულებამაც გადაარჩინა!

ყოველი ჩვენგანისათვის ძვირფასი და ახლობელია ფერწერული თუ გრაფიკული ქმნილებები ინიციალებით ე. ა., მათი კოლორიტი, ხასიათი და პოეტური გზნება, რასაც ხელოვანის მემკვიდრეობა ზოგადი მშვენიერების ხარისხში აჰყავს. მხატვრის პალიტრა შობს ბუნების ფერიცვალობით ნაკარნახევ ერთიმეორეზე ორიგინალურ კომპოზიციებს და ეს არა მხოლოდ ფერადი ხედვის შედეგი იყო, არამედ ღრმა განცდა-გააზრების, მშობლიური გარემოს შეცნობაში დაბრძენებული ადამიანის ხილვებისა, — გალაკტიონისებური ლვიწისფერი მდინარეებითა და ცისკიდურებით.

...შარშან, მოსკოვში, ელენე ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე გულითადი სიტყვით გამოვიდა პოეტი ლარისა ვასილიევა. 1975 წელს, ინგლისში ყოფნისას მას გაუცვნია სამშობლოდან დიდი ხნის მოწყვეტილი მხცოვანი ქალი სალომე ნიკოლოზის ასული ანდრონიკაშვილი — არაერთი პოეტისა და მხატვრის შთაგონება! მათი საუბრის ძირითადი თემა ყოფილა საქართველო და ელენე ახვლედიანის შემოქმედება.

საქართველო ელენე ახვლედიანის ნახატებით უნდა შეიცნო და შეიყვაროო, — ასე ამბობდა თურმე ქართველი მანდილოსანი...

...ხელოვანი არ კვდება! იგი განსხეულებულია ყოველ ქმნილებაში, გარდასახულია კლდედ, ფოთლებშემოძარცვულ ხეებად, ნეკნებშელეწილ საყდრად, აივანშემოქარგულ სახლად, ახლადმშენებარე შენობად, უფლისციხედ, შატილად, ჯვრის მონასტრად თუ იდუმალ ველად...

ჩვენს წინაშეა მრავალი გაზაფხული და ზაფხული, შემოდგომაც და ზამთარიც, ანუ მხატვრის ნუთისოფელი...

და გრძელდება დიალოგი ელენე ახვლედიანთან...

ნანა ღვინეფაძე



ძველი თბილისი

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ქალაქის პეიზაჟი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთარი






ძველი თბილისი

ძველი თბილისი



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ზამთარი

ძველი თბილისი



პეიზაჟი



# „ოსკარის“ პირველი ლაურეატი ქალთა ჭადრაკში



60-იან წლებამდე ქალთა ჭადრაკს დაუფარავი ირონიით უყურებდნენ. საერთაშორისო ტურნირები თითქმის არ იმართებოდა, ოლიმპიადების თაოსანი არსად ჩანდა. მენჩიკი?! იგი ისეთ „მერცხლად“ ითვლებოდა, რომელიც გაზაფხულს ვერ მოიყვანს“. როცა ვერა მენჩიკმა განთქმული დიდოსტატი მაქს ეივე დაამარცხა, პრესას ამ ფაქტისათვის მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მიუქცევია. აღელდა მხოლოდ ეივეს მეუღლე და ტურნირის ადგილასაც ჩავიდა, რათა საკუთარი თვალით ენახა, „რაში იყო საქმე“. კვიმატი ჟურნალისტები წერდნენ, რომ ქალბატონი ეივე დამშვიდდა — ვერა მენჩიკი მაინცდამაინც დიდი სილამაზით არ გამოირჩეოდა. ბუენოს-აირესში გამოვიდა ცნობილ დიდოსტატ მიგელ ნაიდორფის წიგნი „ასე თამაშობს ქალი“. იგი მსოფლიოში სიძლიერით მეორე ოსტატ ქალს სონია გრაფს მიეძღვნა. წიგნს არავინ ყიდულობდა, მისი გამოცემა კი ნაიდორფის საყოველთაოდ ცნობილ ახირებულობას მიაწერეს.

„ყინული“ მხოლოდ ნონა გაფრინდაშვილის გამოჩენამ და შემდგომმა დიდმა მიღწევებმა დასძრა. ნონამდე თვით მსოფლიოს პირველობის მატჩებსაც კი არავინ ესწრებოდა. მოსკოვში მყოფმა, მე მოვინდომე ერთ-ერთი ასეთი პარტიის ნახვა („გვარს ნუ დავასახელებთ“, ეს ჯერ კიდევ ძველმა რომაელებმა იცოდნენ, მივედი და რა ვნახე — სცენაზე უფრო მეტი კაცი იყო, ვიდრე მაყურებელთა დარბაზში. იმავე მოსკოვში სულ სამიოდე წლის შემდეგ დიდი პრობლემა იყო ბიკოვა-გაფრინდაშვილის მატჩზე დასწრება. ეს დღემდე გრძელდება, სადაც არ უნდა მიმდინარეობდეს მატჩი, მოსკოვსა თუ რიგაში, თბილისსა თუ ბიჭვინთაში...

ნონა გაფრინდაშვილმა პირდაპირ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ჭადრაკს. მან მთელი მსოფლიო დაარწმუნა, რომ ქალებსაც შეუძლიათ თამაში და თანაც როგორ! ნონას პოპულარობა მარტო უდიდეს სპორტულ მიღწევებზე როდია დაფუძნებული. მას უმტკიცესი ფუნდამენტი აქვს — მდიდარი შემოქმედება, ულამაზესი პარტიები, მშვენიერი კომბინაციები, რაც ასე ხიბლავს გულშემატკივარს.

ნონამ ქალთა ჭადრაკის განვითარებას მთელ მსოფლიოში მისცა ბიძგი. როდესაც 1979 წელს საბჭოთა ჟურნალისტები პორტუგალიის ერთ მიყრუებულ ქალაქში აღმოჩნდნენ, პატარა გოგონამ მათთან საუბარში თქვა, რომ უნდა ისეთი მოჭადრაკე გამოვიდეს, როგორც ნონა გაფრინდაშვილია და რამდენი ასეთი გოგონაა ევროპასა და აზიაში, დედამიწის სხვადასხვა კუთხეში?!

ნონამ დიდი სამსახური გაუწია საბჭოთა ჭადრაკს, რომლის ღირსებასაც უკვე მრავალი წელია იცავსნაირნაირ საერთაშორისო ტურნირებში, ოლიმპიადებში, ვაჟთა თუ ქალთა შეჯიბრებებში. რად ღირს მარტო ქართველი ქალის მიღწევა ლონ-პაინში (აშშ), სადაც მან მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე ვაჟები ჩამოიტოვა! სწორედ ამ ტრიუმფის (და კიდევ სხვა გამარჯვებების) შემდეგ ჩვენს სახელოვან მოჭადრაკეს ისტორიაში პირველს, ვაჟთა დიდოსტატის წოდება მიენიჭა. თუ დაახლოებით 30 წლის წინ ნაიდორფის წიგნს, როგორც ვახსენეთ, არავინ ყიდულობდა, ახლა გულშემატკივრები იტაცებენ ყოველგვარ ნაშრომს, სადაც ლეგენდად ქცეული ქართველი მოჭადრაკის სახელია ნახსენები.

დღეს რომ ჩვენ ნანა ალექსანდრია, მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი და ნინო გურიელი გვყავს, ესეც პირდაპირ თუ არაპირდაპირად, ნონა გაფრინდაშვილის დამსახურებაა. მისმა საოცარმა მაგალითმა ისე ააფრთოვანა ჩვენი თანამემამულენი, რომ მათ „ჩაავლეს ხელი“ ბავშვებს და ჭადრაკის მასწავლებლებთან მიიყვანეს. იქ, სადაც ათასები და კიდევ ათასები ეუფლებიან ჭადრაკს, არ შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, დიდი ტალანტები არ დაწინაურდნენ და თუ ხვალ (ჩვენ ამაში მტკიცედ ვართ დარწმუნებული) ახალი დიდოსტატები გვეყოლება, ამაშიც ნონა გაფრინდაშვილის ჯადოსნური ხელი ერევა.

ყველასათვის ცნობილია, რომ ნონა „მხოლოდ ჭადრაკს“ როდი თამაშობს, მის გამოსვლებს დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი აქვს. მან, ქართველი ხალხის სახელოვანმა შვილმა, მთლიანად მოიხადა ვალი თავისი მამულის წინაშე, მაგრამ მიღწეულით არ კმაყოფილდება და მომავალშიც, ეჭვგარეშე მრავალ სიხარულს მიგვანიჭებს. მას კიდევ არაერთი ჩემპიონობა თუ პირველი პრიზი ელის.

„მიეცეს კეისარს კეისრისა“. როცა ქალებს, ვაჟების კვალდაკვალ საერთაშორისო ჯილდო „ოსკარი“ დაუწესეს, მისი პირველი ლაურეატი სწორედ ნონა გახდა.

„ოსკარს“ წელიწადში ერთხელ ანიჭებს ფრიად ავტორიტეტული ჟიური, რომელსაც ყველაზე უფრო ცნობილი საჭადრაკო ჟურნალისტები შეადგენენ. ჟიური ჟურნალისტებს უგზავნის ანკეტებს, შემდეგ ხმები ითვლება და გამარჯვებულიც ცხადდება.

ერთი სიტყვით, ლაპარაკია იმ მოჭადრაკეზე, წლის განმავლობაში რომ ყველაზე უკეთესი შედეგები ჰქონდა დიახ, მაგრამ რა მოუტანა 1982 წელმა ნონა გაფრინდაშვილს?! — მხოლოდდამხოლოდ გამარჯვებები როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. მისი შედეგები ქალთა ოლიმპიადაზე თუ საკავშირო გუნდურ პირველობაზე უაღრესად მაღალი იყო, პარტიების ხარისხი კი სწორედ ამ მაღალ შედეგებს შეესაბამებოდა.

„ოსკარი“ ჭადრაკში კინოდან მოვიდა. როგორც ცნობილია ეს ჯილდო კინოხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს, რეჟისორებსა თუ მსახიობებს გადაეცემათ ხოლმე. ის კი ნაკლებად ცნობილია, თუ საიდან წარმოიშვა ეს ტერმინი. ჩვენს მკითხველებს გვინდა ვაცნობოთ, რომ კინოხელოვანთა ამ ჯილდოს ასეთი სახელი სრულიად შემთხვევით დაერქვა. როცა ერთ-ერთ პირველ ლაურეატს ჯილდო გადასცეს, რომელზეც კაცის გამოსახულება იყო, მან გაოცებით წამოიძახა: „ოჰ, როგორ ჰგავს ბიძაჩემ ოსკარს!“

„ოსკარი“ ვაჟ მოჭადრაკეთათვის კარგა ხანია შემოიღეს, მას უმეტეს შემთხვევაში მსოფლიოს ჩემპიონი ანატოლი კარპოვი ეუფლებოდა, თუმცა წლეულს ჟურნალისტებმა გარი კასპაროვი ამჯობინეს. ამიერიდან ამ გამორჩეულ მოჭადრაკე ვაჟებს მხარში ქალებიც ამოუდგებიან. და, უდავოდ სიმბოლურია ფაქტი, რომ მათ შორის პირველი ის გახდა, ვინც თავის საშოქმედო „პროგრამად“ ვაჟთა და ქალთა ჭადრაკის თანასწორუფლებიანობისაკენ მისწრაფება დაისახა — ნონა გაფრინდაშვილი, განუმეორებელი ნონა გაფრინდაშვილი!

გივი გამრეკელი

# დიდი ველი

ნარკვევი

ბავშვები გორაკზე არბიან, ეწევიან ერთმანეთს, ძიძგილაობენ. ხან ერთია წინ, ხან მეორე. აი, ავიდნენ, სული მოითქვეს, მარჯვნივ იხედებიან. იქ, ქვემოთ ქართლის ველია, სოფელ გვერდისუბნის გადასახედი, ტყუპივით რომ მიჰკვრია სურამს.

დიდი ველი — ყაყაჩოებით სავსე! დილაა. ახალგაღვიძებული კეკლუცები მიჯარვიან ერთმანეთს, თითქოს მთელი ლაშქარია, საომრად დაწყობილი. ძნელია იქ ისე გაიარო, ფეხი არ დაადგა. ბავშვები კი ფეხაკრეფით დადიან, სასოებით, ფრთხილად და ხელმიუკარებლად ეფერებიან შავთვალა ყაყაჩოებს. დასაკრეფად ენანებათ. ეს ისეთი ველია, არსად რომ არ არის ქვეყანაზე. ცეცხლი ანთია მინდორზე, უალო და გრილი, არც წვავს და არც ანადგურებს, მხოლოდ ათბობს გულს და აფართოებს სისხლძარღვებს იმით, რომ ანათებს.

ანათებს მხოლოდ დღისით. ღამით კი სულ სხვაა მისი მაცქერალი — მთვარე, ცა, ვარსკვლავები.

ბავშვებს ერთი ყაყაჩოც არ მოუწყვეტიათ, ისე გაიზარდნენ. მერე ამ ქართლის ველზე შეიქმნა ის დიდი ტილო, საგამოფენო დარბაზი რომ დაამშვენა! შოთა ბებიაშვილია მისი ავტორი, ფატი კი — ძმის წამხალისებელი და გულშემატკივარი.

და-ძმას ძლიერი სიყვარული და მეგობრობა ოჯახიდან მოჰყვებოდათ. დედ-მამისაგან, ახლობლებისაგან მხოლოდ სიკეთისა და სიყვარულის გაკვეთილებს იღებდნენ.

უფროსმა ძმამ სკოლა რომ დაამთავრა, კავშირგაბმულობის ინსტიტუტში რადიო ფაკულტეტზე შევიდა. მაშინ რადიო და კავშირგაბმულობა ახალი სიტყვები იყო. ფატი კავშირგაბმულობის ტექნიკუმში სწავლობდა და ძმის გზას მიჰყვებოდა. მაგრამ რადგან კავშირგაბმულობის ინსტიტუტი გაუქმდა, ფატიმ ინდუსტრიული ინსტიტუტის ელექტროტექნიკური ფაკულტეტი აირჩია. ჩვენი ქვეყანა „გოელროს" მშენებლობებმა მოიცვა. საქართველოს პირველი ელექტროსადგური ზაჰესი შეეძინა. ფატისთვის იმაზე მეტი სწრაფვა აღარ არსებობდა, — ელექტროსადგურების მშენებლობის მონაწილე გამხდარიყო.

ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა და პრაქტიკული საქმიანობა სულ დაბალი საფეხურით — თბილელექტროცენტრალში მონტიორობით დაიწყო. ასე სურდა მას. ქალი მონტიორი, სპეციალობით კი ელექტროინჟინერი, პირველი იყო მაშინ! თანდათან დაწინაურდა, მართვის ფარის მორიგის მოადგილედ დანიშნეს, მერე მორიგედ იმუშავა, შემდეგ — მორიგე ინჟინრად რომ გაემწესებინათ, გამოცდები ჩააბარა. (ასე იყო მაშინ). 1948 წელს სამმართველოში დისპეჩრად გადაიყვანეს. მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი დაამთავრა, 1949 წელს შვილი შეეძინა.

ინჟინერი ფატი ბებიაშვილი მივლინებით გაემგზავრა. პირველი მისი მივლინება აწჰესზე იყო. მაშინ გოგონა ჩვილი ჰყავდა და გამგზავრების წინ ძუძუს წოვება მიატოვებინა. ფატის ელექტროსადგურის გამოცდა და მისი წესრიგში მოყვანა ევალებოდა. უმაღლეს დონეზე შეასრულა დავალება. ჩვენი განათებული სოფლების გვერდით, თურქეთის მიწაზე ჩაბნელებული ქოხების ნახვამ გული მოუკლა. დაღონებული დაბრუნდა აჭარიდან.

და-ძმა ბებიაშვილები წინაურდებოდნენ და თვალსაჩინო ადგილებს იკავებდნენ. შოთამ ლენინგრადის ასპირანტურა ბლოკადის დღეებში გამოიარა, დაბრუნდა საქართველოში ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით. მისი ინიციატივით უნივერსიტეტში რადიო-ფიზიკური ფაკულტეტი ჩამოყალიბდა, დღესაც მისი კათედრის გამგეა.

ფატი ბებიაშვილი 1961 წელს „საქენერგოს" ცენტრალურ ლაბორატორიაში იზოლიაციის სამსახურის უფროსად გადაიყვანეს, მერე იზოლაციისა და გადამეტძაბვებისაგან დაცვისა და ელექტრომანქანების საამქროს უფროსად დააწინაურეს.

ცხოვრების ნახევარს ობიექტებზე ატარებდა, ელექტროსადგურებზე პირველ მოთხოვნისთანავე მიემგზავრებოდა, ტოვებდა ოჯახს, შვილს და ზოგჯერ პირდაპირ სამსახურიდან გამოსული ჯდებოდა მატარებელში. ზოგჯერ მთელი კვირა იდგა გენერატორებთან და სრულ წესრიგში მოჰყავდა სადგურები, რომლებსაც ხუთი თითივით იცნობდა, რომლებიც მის ხელში დაიბადა.

ერთხელ გაუჭირდა გუმათჰესს. გენერატორები წყლით დაიფარა. საჭირო იყო მათი გამოშრობა, დიდი აპარატების დაყენება წყლის ასაორთქლებლად, სხვადასხვა ხერხების გამოყენება. ფატიმ ორ კვირაში ყველაფერი აღადგინა.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მოსდევს ელექტროსადგურის მწყობრიდან გამოყვანას. ეს აფერხებს და უკან სწევს სახალხო მეურნეობას, ადამიანთა ცხოვრებას. ამიტომ წინასწარ ამოწმებენ, რომ შეფერხებები არ მოხდეს. ათეული წლებია ამას ხელმძღვანელობს ფატი ბებიაშვილი.

ერთხელ გარდაბანში დაზიანდა სისტემაში ყველაზე მაღალი 330 ათას ვოლტიანი ძაბვისა და ყველაზე მძლავრი 240 ათასი „კვა" სიმძლავრის ტრანსფორმატორი. მთელი ზამთარი გამოცდებს ხელმძღვანელობდა ფატი. ტრანსფორმატორისათვის ფიცრული შენობა ააგეს. მაღალი ძაბვის გამოსაცდელი მოწყობილობა დიდუბიდან წაიღეს. რემონტი მაღალ დონეზე ჩაატარეს.

შარშან კოჩუბეის ეწვია ელექტროინჟინერი, მოინახულა სამი ქვესადგური, რომლებიც ჩვენი ზამთრის საძოვრების სამმართველოს ემსახურება. ფატი გაეცნო იქაური ექსპლოატაციის პირობებს, ჩაიწერა შენიშვნები. მერე კი ყველაფერი გაუგზავნა მათ, რაც აკლდათ, მითითებებიც მისცა.

ცხოვრება წინ მიდის, სიახლეებით ივსება. ახალი გამოკვლევებით მდიდრდება ტექნიკის სფეროც. შოთა ბებიაშვილი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი უნივერსიტეტში მოღვაწეობს, სახალხო მეურნეობისათვის საიმედო სპეციალისტებს ზრდის. ფატის ბევრი მეცნიერული ნაშრომი დაუგროვდა, რომლებსაც სისტემატურად აქვეყნებს სპეციალურ საკავშირო თუ რესპუბლიკურ ჟურნალებში. ბევრი მისი ნაშრომი საკანდიდატოდ გამოდგება. განსაკუთრებით დაეხმარა ჩვენი ტექნიკის წინსვლას ფატის რამდენიმე სიახლე და რაციონალიზატორული წინადადება.

საბჭოთა კავშირში პირველად საქართველოში თქვეს უარი ნორმებით დაწესებული მილისებური მცლელების დაყენებაზე ხაზებისა და ქვესადგურების დასაცავად. ეს კი ფატის დაკვირვებითა და მოთხოვნით განხორციელდა.

ჭექა-ქუხილის დროს ტალღებს რომ არ დაეზიანებინათ ხაზები და ქვესადგურები, მილისებურ მცლელებს აყენებდნენ. ზოგჯერ, თუ ამ მცლელებს სწორად არ დააყენებდნენ, ავარიები ხდებოდა. მათი ვარგისიანობა კი ყოველ გაზაფხულზე უნდა შეემოწმებინათ.

რემონტის დროს ფატი დაუკვირდა და დარწმუნდა, რომ მცლელები არ ასრულებდა მოვალეობას, რადგან მათი მუშაობისთვის საჭირო ტალღები არ მოდიოდა.

ამიტომ არ დააყენეს ეს მცლელები ხაზებისა და ქვესადგურების ერთ ნაწილზე. ვარაუდი გამართლდა. შემდეგ მთლიანად თქვეს უარი მათზე. პრაქტიკამ დაადასტურა ფატის მიგნების სისწორე. დაიზოგა თანხები, მიიღეს ეკონომია. ბაქოს საკავ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

შირო კონფერენციაზე ფატი ბებიაშვილის ამ წინადადებას ჯერ გაკვირვებით შეხვდნენ, შემდეგ დაეთანხმენ. ახლა მთელ საბჭოთა კავშირშია ეს წინადადება განხორციელებული.

ფატიმ რკალმქრობი კოჭების სიმძლავრის გაზრდის თავისი მეთოდი დანერგა. მაღალვოლტიან ქსელებში დაზიანების მოცულობის გაზრდის თავიდან ასაცილებლად კოჭების სიმძლავრის გაზრდა გახდა საჭირო. უფრო მძლავრი კოჭების შოვნა კი გაძნელდა. ფატის წინადადებით სიმძლავრე უნდა გაზრდოდა იმ კოჭებს, რომლებიც დაყენებული იყო. ეს წინადადება პრაქტიკულად გამართლდა და დიდი ეკონომია დაგროვდა.

ტექნიკის პროგრესმა, მისმა ახალმშენებლობებმა რომ არ დააზიანოს ბუნება, ამაზე ბევრს ·ფიქრობს ფატი, წერს, იბრძვის და სადაც მისწვდება, ასწორებს საქმეს.

ცნობილია, რომ კასპიის ზღვიდან ორაგული მტკვრით არაგვის სათავეებისაკენ მიემართებოდა ქვირითის დასაყრელად. ზაჰესის მშენებლობის პროექტში კიდეც გაითვალისწინეს სპეციალური თევზსავალის მოწყობა, რომელმაც შემდეგში ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება და ამიტომ ნატახტართან ააგეს ორაგულის მოსაშენებელი სადგური, სადაც ზაჰესთან დაჭერილი ორაგულები გადაჰყავდათ. მინგეჩაურჰესის (აზერბაიჯანის სსრ) აშენების შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე ორაგულის შემოსვლა შეწყდა.

უკანასკნელი ცნობებით ატლანტიკური ზუთხი მთელ მსოფლიოში ძირითადად მოისპო. შედარებით შემონახულია მდინარე რიონში. რაიონჰესის აგების შემდეგ, რომელიც გაცილებით მაღლაა, ვიდრე ატლანტიკური ზუთხის ქვირითის დაყრის ადგილები, ამ თევზის სახეობა შევინარჩუნეთ. ვარციხეჰესის კასკადის 1-ლი და 2-ე სადგურებიც არ უშლის ხელს ზუთხის მომრავლებას, ხოლო მე-3 და მე-4 სადგურები ქვირითის დაყრის ადგილებში ხვდება და გადააშენებს თევზის ამ უიშვიათეს სახეობას.

გულისტკივილით წერდა ამ საკითხებზე ფატი ბებიაშვილი და იმასაც მოითხოვდა, რომ უარი ეთქვათ ვარციხეჰესის № 3 და № 4 ელექტროსადგურების აგებაზე: მათი გამომუშავება მაინც უმნიშვნელო იქნებაო.

რამდენადმე შეცვალა საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ელექტროსადგურებმა — ზღვა ხმელეთისაკენ წამოვიდა, პლაჟები დაზიანდა. ფატი ბებიაშვილი აყენებს საინტერესო წინადადებებს, თავაზობს სხვადასხვა ხერხებს ზღვის სანაპიროს დასაცავად.

ფატის მთელი ცხოვრება, ჯერ კიდევ ენერგიით სავსე და შემართული, საქართველოს ენერგეტიკის განვითარებასთან არის დაკავშირებული.

ზაჰესი, რიონჰესი, ენგურჰესი, ლაჯანურჰესი, ჩითახევჰესი, სოხუმჰესი, ტყიბულჰესი, ბჟუჟჰესი, ხრამჰესი, ვარდნილჰესი, აბჰესი და სხვები მისი მონაწილეობით დგას მწყობრში და მუშაობს.

თითქოს ერთ დიდ ველზე არიან ისინი ჩამწკრივებულნი და წითელი ყაყაჩოებივით გაჩახჩახებულები ეგებებიან. ჩაქრება რომელიმე? ფატი მზად არის საშველად, მიდის და ანთებს. სანამ კვლავ რომელიმე ჩაქრებოდეს, ფატი გვერდში უდგას მკურნალივით, სინჯავს და არჩენს.

ამიტომ არ უყვარდა ყაყაჩოების მოწყვეტა ველზე ბავშვობაში. იმ ბავშვურ შთაბეჭდილებებსა და დღევანდელ საქმიანობას შორის შინაგანი კავშირია. პროფესორმა შოთა ბებიაშვილმა, თვითნასწავლმა მხატვარმა, თავის უამრავ ფერწერულ ტილოებთან ერთად, სწორედ „ველის ყაყაჩოებით“ გაითქვა სახელი. საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, რაციონალიზატორი და, თავის საქმის დიდი მცოდნე, ფატი ბებიაშვილი კი ყაყაჩოებივით უფრთხილდება ჰიდროელექტროსადგურებს.

ფატისთვის პირველ ადგილზე ყოველთვის სამსახური იდგა. ოჯახი მოითმენსო — იტყოდა ხოლმე. ალბათ შინაგანად გრძნობდა, რომ არაფერი გაუჭირდებოდათ. ახლაც მშვიდად არის შვილისა და შვილიშვილების მიმართ. ქალიშვილი რადიოფიზიკოსიც არის და ორი შვილის დედაც, თავისი საქმე მოწესრიგებული აქვს.

შინ რომ ბრუნდება ფატი, კარის გაღებისთანავე ყინულის ლოლუებით გადათეთრებული კლდე ეგებება: თბილისის ერთი კუთხე, ბარათაშვილის აღმართი დაუხატავს მის ძმას, მაგრამ იმდენად ძვირფასია ეს ნამუშევარი ფატისთვის, რომ ზამთრის პეიზაჟი გაზაფხულივით ათბობს... საწოლთან, მაგიდაზე მორუას „სამი დიუმაა“ გადაშლილი. ძლივს მიუსწრო ამ წიგნს მაღაზიაში...

ქართლის ველზე კვლავ ანთია ყაყაჩოები...

ფატის დიდ ველზე ელექტროსადგურები ჩახჩახებს...

ლია კაკაბაძე

# ნატალია ჯავახიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განახლებულ ქართულ პროფესიულ თეატრს, დღეს დიდი შოთა რუსთაველის სახელობისა რომ არის, თავისი არსებობის ასი წლის მანძილზე მრავალი სასიქადულო სახელი ამშვენებს. ზოგიერთის მოღვაწეობა რევოლუციამდელ პერიოდს მოიცავს და ჩვენამდე მხოლოდ ლეგენდასავით მოვიდა: მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, ისეთებიც არიან, რომელთაც ორივე ეპოქაში იმოღვაწეს და ჩვენს თანამედროვე მაყურებელთა უფროს თაობას ნათლად ახსოვს მათ მიერ რუსთაველის თეატრის სცენაზე გაცოცხლებული გმირები: ერთ-ერთი ასეთი ბედნიერი მსახიობი ნატალია გრიგოლის ასული ჯავახიშვილი იყო.

ნატალია ჯავახიშვილი თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურა ქართულ სცენას და ამ დიდი ღვაწლისათვის ხვდა რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება, „საპატიო ნიშნის" ორდენი და მედლები.

ნატალია ჯავახიშვილი 1882 წელს დაიბადა. მისი მამა გრიგოლ ჯავახიშვილი იმდროისათვის განათლებული და ლიტერატურის დიდი მოყვარული კაცი იყო; დედა, რომელსაც შინაური განათლება ჰქონდა მიღებული, აგრეთვე ლიტერატურითა და პოეზიით იყო გატაცებული. ცხადია, ასეთ ოჯახში დაბადებული გოგონა ლიტერატურის ტრფიალი უნდა ყოფილიყო და სწავლას დასწაფებოდა. ასეც მოხდა: რვა წლის ნატალია ეპარქიულ სასწავლებელში იწყებს სწავლას, სადაც ხშირად იმართებოდა საბავშვო წარმოდგენები. ნატალია დიდი ხალისით მონაწილეობდა მათში და მოსწონდათ კიდეც დამსწრე მშობლებსა და პედაგოგებს.

ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ნატალია სწავლას ქალთა გიმნაზიაში განაგრძობს. ის ჯერ კიდევ გიმნაზიის მოწაფე იყო, როდესაც თავის ნათესავის ოჯახში გაიცნო სახალხო თეატრის ერთ-ერთი თაოსანი და ამაგდარი მარიამ დემურია. ამ პატარა თავყრილობაში ნატალიამ მარიამის ყურადღება ყოჩაღი სიტყვა-პასუხით, ლაღი ქცევით და ლექსების სახიერი კითხვით მიიქცია. მარიამმა გოგონას მსახიობური ნიჭი შეამჩნია და დიასახლისს უთხრა, სახალხო სახლის სცენაზე უნდა გამოვიყვანოო. შემდეგ თვით ნატალიასაც გამოესაუბრა და აუხსნა, თუ რა დიდი აზრი აქვს სახალხო სახლის სცენაზე მოღვაწეობას, რომ ეს ხალხისადმი უანგარო სამსახურია, საზოგადოებრივი მოღვაწეობა და ყველა პატიოსანი ადამიანის მოვალეობაა. თეატრის სიყვარულით უკვე გულანთებულ გოგონას ძალზე მოეწონა დემურიას წინადადება, მაგრამ მშობლების შიში ჰქონდა და საპატიო მანდილოსანს მორიდებით უთხრა, მე დიდი სიამოვნებით წამოვალ, მაგრამ მშობლები არ გამომიშვებენო. ჩანს, მარიამს მართლაც ძალიან მოეწონა გოგონა, რომ ნატალიას მამასთან ხანგრძლივი მოლაპარაკება არ დაიზარა და ბოლოს დაითანხმა კიდეც. 1901 წლის გაზაფხულზე, ჯერ კიდევ გიმნაზიელი ნატალია ავჭალის აუდიტორიის სცენაზე მაშიკოს როლში გამოვიდა (ავქსენტი ცაგარელი: „ციმბირელი"), ცაგარელის ცქრიალა მაშიკოს ისეთი სიცოცხლე შთაბერა ნატალია ჯავახიშვილმა, რომ სპექტაკლზე დამსწრე ავტორმა დიდი მადლობა გადაუხადა და გულით მოუალერსა. ეს არც თუ ისე ადვილი იყო, მით უმეტეს, რომ პროფესიულ თეატრში მაშიკოს ბრწყინვალედ ასახიერებდა მაკო საფაროვა.

ავჭალის აუდიტორიის დიდი მეგობრები იყვნენ ქართული პროფესიული თეატრის კორიფეები: ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, ნატო გაბუნია, ვალერიან გუნია, კოტე მესხი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი და სხვები, რომლებიც მუშათა თეატრს ყოველმხრივ ეხმარებოდნენ, სპექტაკლში პირადი მონაწილეობით თუ რეჟისურითა და კონსულტაციებით, ამასთანავე, ამ სცენაზე მიკვლეულ ტალანტებს გზას აძლევდნენ, დიდ სცენაზე გამოჰყავდათ. ასე მოხდა ნატალიას ცხოვრებაშიც: ვასო აბაშიძის განსაკუთრებული ყურადღების წყალობით, 1902 წელს ის პროფესიულ თეატრში მოხვდა. აქ მისი სადებიუტო როლი იყო მომღერალი ქალი დარია ჭანჭურაძე (პიესა „მშვენიერი ელენეს მაძიებელნი"). პიესა ვასო აბაშიძის საბენეფისოდ იდგმებოდა. ნატალია ჯავახიშვილი მსახიობებს, თეატრის ხელმძღვანელობასა და მაყურებლებს მოეწონათ და დასში ჩაირიცხა. ამ სეზონში ის კიდევ სამ სპექტაკლში მონაწილეობდა. ამ როლებმა ახალგაზრდა ქალს საბოლოოდ დაუმკვიდრა ნიჭიერი მსახიობის სახელი. სეზონის დასასრულს, ერთ სპექტაკლში („ბედს ვერ წაუხვალ") მონაწილეობისათვის ქუთაისიდან მოწვეული იყო ლადო მესხიშვილი. ნატალია ჯავახიშვილს ბედმა არგუნა დიდი მსახიობის პარტნიორობა. ამ შემთხვევამ ახალი გზით წარმართა ნატალიას შემდგომი კარიერა. ლადოს ძალიან მოეწონა ნიჭიერი გოგონა და ქუთაისის თეატრში მუშაობა შესთავაზა. ამ დროს ქუთაისის თეატრი ძალიან პოპულარული იყო, და, ცხადია, ასეთი წინადადება მომხიბლავი გახლდათ ნატალიასათვის. თბილისის თეატრს ძალზე ეძნელებოდა ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობის გაშვება და, ლადო მესხიშვილს დრამატული საზოგადოების თანხმობის მიღება დასჭირდა, რათა ნატალია ჯავახიშვილი ქუთაისში წაეყვანა.

1902-1903 წლების სეზონიდან ნატალია ქუთაისის თეატრშია და მისი ყველა გამარჯვების აქტიური მონაწილეა. იმავე წელს ნატალიამ პირადი ბედნიერებაც იპოვა: აქ გაიცნო ახალგაზრდა ვალერიან შალიკაშვილი და მალე იქორწინეს კიდეც. ამ ქორწინებამ ქართულ თეატრს ვ. შალიკაშვილის სახით მნიშვნელოვანი მოღვაწე შესძინა. იმ სეზონში ლადო მესხიშვილი კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტას" დგამდა. მცირერიცხოვან დასში მას მანასეს შემსრულებელი არ აღმოაჩნდა და ვალ. შალიკაშვილს სთხოვა დახმარებოდა. ვალერიანისათვის სცენა უცხო არ იყო, ის ხონის სახალხო თეატრში გამოდიოდა, და, ამდენად, ამ წინადადების მიღება მისთვის ადვილი გახლდათ. შალიკაშვილმა როლი კარგად შეასრულა, ლადოს მოეწონა და დასშიაც ჩაირიცხა. საინტერესოა, რომ ნატალია ჯავახიშვილი ლადო მესხიშვილის ნიჭიერი მოწაფე და ქართული რეალისტური სამსახიობო ტრადიციების ერთგული გამგრძელებელი იყო და დარჩა სიცოცხლის ბოლომდე.

1909 წლისათვის ნატალია კვლავ თბილისის დრამატულ თეატრში ბრუნდება და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მის სცენას არ ჩამოშორებია. ნატალია ჯავახიშვილი სახასიათო, კომიკური პლანის მსახიობი იყო. მან ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას შეასრულა მრავალი საინტერესო როლი როგორც ქართულ, ისე რუსულ და უცხოურ პიესებში: გაქნილი მაჭანკალი ქაბატო და მისი „პროფესიული" „კონკურენტი", ძლიერი ნებისყოფის საქმოსანი ხანუმა (ავქ. ცაგარელის „ხანუმაში"), გამოუყენებული ორომსე (ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"), ქლესა და ორპირა მართა და სიღარიბისა და გაჭირვებისაგან დაბეჩავებული პელაგია (დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი"), გაავებული და

გაბოროტებული შინაბერა დარეჯანი (ნ. შიუკაშვილის „სიმახინჯე“), თათელა (გ. ერისთავის „გაყრა“), ზეფირინა დენერი („ორი ჯიბგირი“) და სხვ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ნატალია ჯავახიშვილი სიხარულით შეხვდა და, თავისი მრავალი წლის მეგობრებთან ერთად, ახალი ქვეყნის თეატრის შენებაში აქტიურად ჩაება. ის ერთ-ერთი მსახიობი იყო, რომელიც დიდი კოტე მარჯანიშვილის თეატრალურ რეფორმას შეეგუა და ახალგაზრდობასთან ერთად ჩაება ფერხულში. ნატალია ჯავახიშვილი დიდი შემოქმედებითი ენთუზიაზმით მონაწილეობდა კ. მარჯანიშვილისა და ალ. ახმეტელის სპექტაკლებში. ესენია: „მზის დაბნელება საქართველოში“, „ინტერესთა თამაში“, „გაანაურებული მდაბიო“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ვინძორის ცელქი ქალები“, „დეზერტირკა“, „ამერიკელი ძია“, „საჭე მარცხნივ“, „ათი დღე“, „ხოჭოების დოლი“ და სხვ.

1934 წელს ნატალია ჯავახიშვილს ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

არც ამის შემდეგ შეუნელებია ნატალია ჯავახიშვილს შემოქმედებითი მუშაობა. იგი კვლავაც ატკბობდა მაყურებელს ახალ-ახალი მიღწევებით. საყოველთაო აღიარება მოიპოვა მისმა გალჩიხამ (ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“), რომელიც ნუცა ჩხეიძის შეუდარებელი კრუჩინინას ღირსეული პარტნიორი იყო. ასევე დიდი ოსტატობით უმშვენებდა ის მხარს ნუცა ჩხეიძეს ალ. სუმბათაშვილის „ღალატში“, გაიანეს გადიის მოხუცი პაიკოს როლის შესრულებით. ეს სპექტაკლი ძველი თაობის დიდებული ტრადიციებისა და ახალგაზრდა მსახიობთა შემოქმედებითი თანაზიარობის საუკეთესო ნიმუშია და, ამ წარმატებაში დიდი წვლილი ნუცასთან ერთად ნატალიასაც მიუძღოდა. მაყურებელთა ერთსულოვანი აღიარება მოიპოვა ნატალია ჯავახიშვილის ჟოზეფინამ (ს. კლდიაშვილის „გრაფის ქვრივი“). გასაოცარი სიმკვირცხლით და ექსპრესიით შექმნა მან ხანშიშესული, ვნებადაუოკებელი მდიდარი ქალის იერსახე. მაყურებელს გულიანად ახარხარებდა ახალგაზრდებთან მისი კეკლუცობის სცენები.

1936 წელს, მოსკოვში რუსთაველის თეატრის გასტროლებისას, ნატალია ჯავახიშვილი „საპატიო ნიშნის“ ორდენით დააჯილდოვეს, ხოლო 1941 წელს რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა.

ის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ ჩამოშორებია სცენას, მუდამ ახალგაზრდული ენერგიით გამოდიოდა თავის ძველსა თუ ახალ როლებში. სამოცდარვა წლისა, მაგრამ ჯერ კიდევ ენერგიით სავსე, ნატალია გრიგოლის ასული ჯავახიშვილი 1950 წელს გარდაიცვალა. მომავალ თაობებს მან თავისი უბადლო ნიჭის ნათელი ხსოვნა დაუტოვა და მსახიობებს ქართული თეატრის სიყვარული უანდერძა.

ეთერ დავითაია



ნ. ჯავახიშვილი და ს. ახმეტელი რეპეტიციაზე



ნ. აზიანი — „დეზერტირკა“. გამყიდველი ქალი ნ. ჯავახიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა

აკაკი კაცაძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

# საქართველოს დემოგრაფიული ძლიერებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს მსოფლიოში დემოგრაფიული გასაჭირი დაუდგათ — შობადობის დონე მკვეთრად დაქვეითდა, რამაც მოსახლეობის მატების ტემპი მნიშვნელოვნად შეანელა; ზოგან მოსახლეობის ბუნებრივი კლების საშიშროებაც შეიქმნა. შობადობის მხრივ საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებს შორის განსხვავებული მდგომარეობაა. სადღეისოდ საქართველო დემოგრაფიული სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა.

ისტორიულად საქართველოში მრავალშვილიანობა იყო დამკვიდრებული; ამასთან ერთად, სიკვდილიანობაც მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა. ხშირად თავს დაგვტყდომია მძვინვარე ეპიდემია (შავი ჭირი, ყვავილი და სხვ); რასაც ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე ეწირებოდა. დიდი მსხვერპლი გავიღეთ მოძალადე დამპყრობლებთან გაუთავებელ თავდაცვით ბრძოლებში, შინა სოციალურ ომებში. ათასობით ქართველი ტყვე გაჰყიდა უცხომ თუ თვისტომმა აღმოსავლეთის ქვეყნების ბაზრებზე. ქართველი მაინც გულს არ იტეხდა, შეძლებისდაგვარად ამრავლებდა შთამომავლობას, იღვწოდა, ქმნიდა მატერიალური და სულიერი კულტურის სწორუპოვარ ნიმუშებს; ბუნებით კეთილშობილი და სხვა ერის მოყვარული და შემბრალე, თვითონ განსაცდელში ჩავარდნილი ქართველი გაჭირვებაში მყოფ უცხო ტომს მფარველობდა, თავის მიწა-წყალზე ასახლებდა. ასე მოვიდა საქართველოში სომეხი და ბერძენი, ოსი და ქურთი, ებრაელი და სირიელი, შემდეგ კი სხვები. ასე იქცა საქართველო მრავალეროვან ქვეყნად.

საქართველოს დემოგრაფიული ტრაგედია XIII საუკუნიდან დაიწყო. საქმე ისე წავიდა, რომ XIII-XVIII საუკუნეების მანძილზე ხაქართველოს მოსახლეობიდან, სპეციალისტთა აზრით, მეხუთედი-ღა დარჩა. ვ. ჯაოშვილის გაანგარიშებით 1800 წლისათვის საქართველოში (თანამედროვე საზღვრებში) დაახლოებით 770-800 ათას კაცი ცხოვრობდა. რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოს მოსახლეობის თანდათანობით მატება განაპირობა გარეშე მტერთა შემოსევების აღკვეთამ, თურქეთის მიერ მიტაცებული ჩვენი მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილის დაბრუნებამ. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დროისათვის საქართველოში ორი მილიონ ოთხასი ათასი კაცი ცხოვრობდა, ხოლო დღეისათვის ხუთ მილიონზე მეტი მოსახლეა საქართველოში (აქედან 68,0 პროცენტი ქართველი).

საბჭოთა საქართველოში მიმდინარე დიდმა სოციალურ-ეკონომიკურმა და სოციალურ-კულტურულმა გარდაქმნებმა არა მარტო მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა დააჩქარა, არამედ არსებითი პროგრესული ხასიათის თვისებრივი ცვლილებები გამოიწვია სოციალურ სტრუქტურაში.

საქართველო დემოგრაფიული განვითარების ახალ სტადიაში შევიდა (დაბალი შობადობა, სიკვდილიანობის შემცირება, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა). მოსახლეობის კვლავწარმოების ასეთი რეჟიმი დამახასიათებელია ეკონომიკურად განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნებისათვის. მართალია, გარკვეული აზრით, ასეთი მოვლენა დემოგრაფიაში პროგრესულად არის მიჩნეული, მაგრამ დღეისათვის უკვე თავი იჩინა არასასურველმა ტენდენციამ — მეტისმეტად მცირდება ახალშობილთა რიცხვი და რამდენადმე იზრდება სიკვდილიანობა; ამის გამო, საგრძნობლად შენელდა მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი, რასაც შემდეგი მონაცემები ადასტურებს:

ყოველ ათას მცხოვრებზე გაანგარიშებით

| წელი | დაბადება | გარდაცვალება | ბუნებრივი მატება |
|---|---|---|---|
| 1960 | 24,7 | 6,5 | 18,2 |
| 1980 | 17,7 | 8,6 | 9,1 |
| 2000 | 14,4 | 10,9 | 3,5 |

(პროგნოზით).

ამ მოვლენამ გააუარესა დემოგრაფიული სტრუქტურა — არასასურველად მცირდება ახალგაზრდობის ხვედრითი წონა, ღრმავდება დემოგრაფიული დაბერების ნეგატიური პროცესი. ასეთი სიტუაცია მოგვანიშნებს საქართველოს დემოგრაფიული პოტენციალის შესუსტებაზე, რაც, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, უარყოფითად მოქმედებს რესპუბლიკის მზარდი სახალხო მეურნეობის შრომითი რესურსებით უზრუნველყოფაზე.

ასეთ მწვავე დემოგრაფიულ ვითარებაში ამდენად გაისმის მოწოდების ხმა: „მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა!“ მაღალი ტრიბუნიდან ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძის მიერ ნათქვამი, სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ეს გამოხატულება, ჭეშმარიტად მამულიშვილურია. ამ სიტყვის უკან საქმე დგას. რესპუბლიკაში ამჟამად, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, მეცნიერთა და პრაქტიკოსთა მჭიდრო თანამშრომლობით ისახება დემოგრაფიული პოლიტიკის დიდმნიშვნელოვანი ახალი პრაქტიკული ღონისძიებები, მუშავდება ამ პოლიტიკის მეცნიერული და იდეოლოგიური უზრუნველყოფის მყარი ორგანიზაციული საფუძვლები.

რეპროდუქციულ ქცევას (ოჯახში ბავშვთა შობასთან დაკავშირებულ ქცევას) მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ვერავინ დაავალდებულებს გათხოვილ ქალს იყოლიოს მაინცდამაინც იმდენი შვილი, რამდენიც საზოგადოებას ესაჭიროება მისგან. ჩვენ უნდა შევძლოთ სრული სიმძლავრით ავამოქმედოთ სოციალურ-ეკონომიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების მთელი ერთობლიობა, რათა მივაღწიოთ იმას, რომ ოჯახი განვაწყოთ სამ (რაც აუცილებელია საზოგადოებისათვის) და ოთხ (რაც მეტად სასურველია) შვილიანი სისტემის დანერგვისათვის. ამისათვის აქტიურად უნდა ვიმოქმედოთ ისეთი მიმართულებით, რომ: მინიმუმამდე დავიყვანოთ გაუმართლებელი აბორტების, პირველადი და მეორადი უშვილობის, ბავშვთა სიკვდილიანობის შემთხვე-

ჟები; ყოველმხრივ უნდა ვიზრუნოთ ოჯახის სიმტკიცისათვის, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა ოჯახების შექმნისათვის. სასურველი საზოგადოებრივი ფსიქოლოგიური კლიმატის შესაქმნელად იდეოლოგიური ზემოქმედების არსენალი სრული დატვირთვით უნდა ავამოქმედოთ.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს საქართველოს საგანგაშო დემოგრაფიული სიტუაციის მქონე მთის რეგიონები. აქ დეპოპულაციამ (შობადობას სიკვდილიანობამ გადააჭარბა) იჩინა თავი, რის გამო (ინტენსიურ მიგრაციასთან ერთად) ზოგიერთი კუთხის გაუკაცრიელების საშიშროება შეიქმნა. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა, საქართველოს მთავრობა დღენიადაგ ზრუნავს ამ ურთულესი პრობლემის გადასაწყვეტად. წინ კიდევ დიდი შემოქმედებითი მოწადინებისა და შრომის გზა გვიდევს. პირველ რიგში ეს ეხება მეცნიერული კომპლექსური კონცეფციის დამუშავებას, რაც შეუწყნარებლად ჩამორჩა პრაქტიკის მოთხოვნებს. ეს ზოგჯერ იმითაც აიხსნება, რომ ხანდისხან ავიწყდებათ სამეცნიერო დაწესებულებების მისამართები.

მთის რაიონები, როგორც ჩანს, საკუთარი ძალებით ვერ დააღწევენ თავს დემოგრაფიულ შოკს. ეს პრობლემა საკავშირო მთავრობის საგანგებო ყურადღების ქვეშაც უნდა მოექცეს.

დასასრულ არ შეიძლება არ ითქვას შემდეგი: ქართველმა საოჯახო ცხოვრებისადმი სიყვარული და პატივისცემა სოციალურ ღირებულებათა შორის გამორჩეულად მაღალ რანგში აიყვანა. ჩვენ ეს არა მარტო უნდა შევინარჩუნოთ, არამედ ახალ საფუძვლებზე უნდა განვამტკიცოთ. რა დასამალია, რომ უფროსი თაობის გარკვეული წრეები ზოგჯერ მეტისმეტად არასასურველ მაგალითს აძლევს ჩვენს კეთილშობილ, ნიჭიერ და განათლებულ ახალგაზრდობას. სოციალურ და სოციალურ-კულტურულ ღირებულებათა ახალ პროგრესულ სისტემაში სოციალური ანომალიების მომძლავრება (და ამის დამალვა არ შეიძლება) საზოგადოების ერთ ნაწილში ამკვიდრებს საოჯახო ცხოვრების მეშჩანურ წესსა და სტილს; საზოგადოების მეორე, პატიოსანი ნაწილი ხანდისხან უძლურია დაუპირისპირდეს და გამარჯვებული გამოვიდეს ამ ბრძოლაში. ასეთ ვითარებაში მთელი ერისა და საზოგადოების მობილიზებაა საჭირო, რათა ჯანსაღი საძირკველი ჩაედგას ახლადშექმნილ ახალგაზრდა ოჯახს, სადაც შვილიანობაც იქნება და საიმედო შთამომავლობაც აღიზრდება.

საქართველოს დემოგრაფიული ძლიერებისკენ უნდა მივმართოთ მთელი ჩვენი ღონისძიებები, რადგან ეს არის რესპუბლიკის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების საფუძველი, ხალხის კეთილდღეობის საშუალებაც და მიზანიც.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულოცავთ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის უფროს მეცნიერ თანამშრომელს ლამარა დოლონაძეს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა. ქართულმა პრესამ გულთბილად მიულოცა ეს ჯილდო თეატრმცოდნესა და მკვლევარს, ლამარა დოლონაძეს, და სამართლიანად აღნიშნა, რომ ეს დიდი პატივი მას მუყაითი კვლევითი საქმიანობისათვის მიაგეს. მართლაც, ლამარა დოლონაძე გამოირჩევა მუყაითი შრომისუნარიანობით და საკვლევი თემისადმი პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა შარშან, როდესაც გამომცემლობა „მეცნიერებამ“ დასტამბა ლამარა დოლონაძის წიგნი „გმირი და ცხოვრება“, სადაც 50-70-იანი წლების ქართული საბჭოთა დრამატურგიის საკითხები ღრმად გააშუქა ავტორმა. ლ. დოლონაძე სვამს საკითხს, რომ ილო მოხაშვილის, მარიკა ბარათაშვილის, ლევან გოთუას, ნოდარ დუმბაძის, და თამაზ ჭილაძის დრამატურგიული ნაწარმოებები ქართული დრამატურგიის განვითარების ახალი ეტაპია, სადაც თანაბრად ჟღერს, როგორც ქართული თეატრის გმირულ-რომანტიკული ტრადიციები, ისე თანამედროვე დრამისათვის დამახასიათებელი ეპიკურობა, ლირიკული წიაღსვლები და კომედიის ხალისიანი სიტუაციები და საერთოდ, თანადროულობა, იდეური გამიზნულობა და დიდი პატრიოტული სულისკვეთება. „ნამდვილი ხელოვანის წარმატების საიდუმლოებაა მშობლიური მიწა-წყლის სილამაზისა და, რაც მთავარია, თანამემამულეების განუმეორებელი სახეების სრულყოფილი წარმოსახვა“, — ამბობს ლ. დოლონაძე და, აქედან გამომდინარე, იკვლევს იმ პიესებს, რომლებსაც კარგახანია ქართველი მაყურებლის სიყვარული და აღიარება ხვდა. ავტორი პროფესიონალურად აანალიზებს ომისშემდგომი პერიოდის დრამატურგიის ნაირსახოვან, მხატვრულ ტენდენციებს, ახალ მხატვრულ ფორმათა ძიებასა და თანამედროვე გმირის პოტენციურ არსს... წიგნი „გმირი და ცხოვრება აუცილებლად მიიპყრობს მკითხველთა ყურადღებას.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია ულოცავს ლამარა დოლონაძეს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდებას და ახალ-ახალ წარმატებებს უსურვებს შემოქმედებითი შრომის სფეროში.

**კ. ჩაჩავა,** პროფესორი, სსრ კავშირის სამედიცინო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,

**გ. ცაგარელი,** პროფესორი

# აბორტი და მისი მავნეობა

აბორტი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ორსულობის ნაადრევ შეწყვეტას. აბორტი ძირითადად ორგვარია: თვითნებური, როდესაც ქალს ორსულობა შეუწყდება თავისთავად, და ხელოკნური, რომელიც გამოწვეულია ხელოვნურად, ჩარევით.

თვითნებური აბორტი იშვიათი მოვლენა როდია. იგი გვხვდება შემთხვევათა 10–15 პროცენტში და შეიძლება გამოწვეული იყოს მწვავე და ქრონიკული ინფექციური დაავადებით, ფიზიკური ტრავმით, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციის მოშლით, ნერვულ-ფსიქიკური მდგომარეობით — ელდით, შიშით და სხვა მრავალი მიზეზით, რომელთა ჩამოთვლას აქ არ შევუდგებით, მაგრამ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ქალმა ორსულობის დახაწყისშივე უნდა მიმართოს ქალთა კონსულტაციის ექიმს, რათა თავიდან აიცილოს ის ფაქტორები, რომელთაც შეუძლიათ უარყოფითად იმოქმედონ ორსულობის მიმდინარეობაზე და გამოიწვიონ თვითნებური აბორტი. აქვე გვინდა მივუთითოთ, რომ თვითნებურ აბორტს ხშირად იწვევს ადრე გაკეთებული ხელოვნური აბორტი. ამიტომ უნდა ვერიდოთ ხელოვნურ აბორტს, განსაკუთრებით პირველი ორსულობისას, ვინაიდან მას ხშირად სდევს თვითნებური აბორტი და უშვილობა.

როდესაც თვითნებური აბორტის მიზეზის დადგენა არ ხერხდება, უნდა იფიქროთ, რომ თანდაყოლილ ანომალიას აქვს ადგილი, ან რომელიმე გადატანილ დაავადებას. სხვანაირად თვითნებური აბორტის განვითარება წარმოუდგენელია.

თვითნებური აბორტის თავიდან აცილება დამოკიდებულია იმაზე, თუ ორსული რამდენად დროულად მიმართავს ექიმს, რომელიც შეისწავლის აბორტის მიზეზებს და ჩაუტარებს სათანადო მკურნალობას. დიდი მნიშვნელობა აქვს ექიმის მიერ ჩატარებულ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს: ფიზკულტურას, სპორტს, სანატორიულ-კურორტულ მკურნალობას, შრომის, კვებისა და დასვენების რაციონალური რეჟიმის შემუშავებას.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზოგჯერ ქალს აქვს ისეთი დაავადება, როგორიცაა გულის მანკი, ფილტვის ტუბერკულოზი და სხვა, რომელთა დროსაც ორსულობის მიმდინარეობა და მშობიარობა ცუდ გავლენას ახდენს ქალის ჯანმრთელობაზე. ასეთ შემთხვევაში ქალთა კონსულტაციის ექიმი ქალს შეურჩევს ორსულობის საწინააღმდეგო საშუალებებს, რითაც აიცილებს ორსულობას. ხელოვნურ აბორტს და მის მავნე გავლენას.

ქირურგიაში აბორტი ერთ-ერთ ურთულეს ოპერაციად ითვლება, რადგან იგი ასე ვთქვათ, ბრმად, მხედველობის კონტროლის გარეშე კეთდება.

აბორტის დროს მოსალოდნელია ქალის უეცარი სიკვდილი ძლიერი ტკივილის გამო (როდესაც გაუტკივარება არ არის ჩატარებული) ან საშვილოსნოს ღრუში გახსნილ სისხლის ძარღვებში ჰაერის შეჭრისა და ჰაეროვანი ემბოლიის განვითარების შედეგად.

ორსულის საშვილოსნო დარბილებულია, ცომისებურია, მისი კედლები გათხელებულია, ამიტომ იგი ადვილად ზიანდება. მოსალოდნელია საშვილოსნოს გახვრეტაც, რისი საფრთხეც მით უფრო მატულობს, რაც უფრო მეტი ვადისაა ორსულობა.

ხელოვნური აბორტის დროს საშვილოსნოს გახვრეტა და ნაწლავების, შარდის ბუშტისა და მუცლის ღრუს სხვა ორგანოების დაზიანება შეიძლება საავადმყოფოშიც მოხდეს, მაგრამ ეს მეტად იშვიათია. ხშირად გართულებას ადგილი აქვს ექიმის ან აბორტმახერის მიერ აბორტის არალეგალურად, ფარულად, ბინის პირობებში გაკეთების დროს. მეორე მხრივ საავადმყოფოს გარეშე აბორტის გაკეთებისას საშვილოსნოს დაზიანების სიხშირე გამოწვეულია იმით, რომ საავადმყოფოში აბორტის ოპერაციას ანდობენ გამოცდილ ექიმ-სპეციალისტს, ბინაზე კი აბორტის ოპერაციას ხშირად აკეთებს დაბალი კვალიფიკაციის ექიმი, ექთანი ან არასამედიცინო პირი, რომელსაც არაფერი გაეგება ამ ოპერაციისა, წარმოდგენაც კი არ აქვს იმ გართულებებზე, რომლებიც შეიძლება განვითარდეს ოპერაციის დროს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბინაზე შეუძლებელია ისეთი პირობების შექმნა, როგორიც საჭიროა აღნიშნული ოპერაციის ნორმალურად ჩასატარებლად. ამიტომ ბინაზე აბორტის გაკეთებას მოსდევს ისეთი გართულებანი, როგორიცაა, ანთებითი პროცესი, ინფილტრატი, დაჩირქება, სისხლის მოწამვლა და სხვა, რომელთა დროს ქალი საჭიროებს ხანგრძლივ მკურნალობას ან სამუდამოდ კარგავს შრომის უნარს, ინვალიდდება. ზოგჯერ აბორტის ოპერაციის შემდგომი გართულება ქალის სიკვდილსაც კი იწვევს.

აღსანიშნავია, რომ თუ საშვილოსნოს გახვრეტა საავადმყოფოს პირობებში მოხდა, ქალს დაუყოვნებლივ უკეთებენ სათანადო ოპერაციას და ყველა ზომას იღებენ მის გადასარჩენად. აბორტმახერი კი დანაშაულის დაფარვის მიზნით ქალს სათანადო სამედიცინო დახმარებას ვერ უწევს, რასაც, რასაკვირველია, მისი დაღუპვა მოჰყვება, ან ქალი საავადმყოფოში მიჰყავთ დაგვიანებით, როდესაც მისი შველა უკვე აღარ შეიძლება.

ექიმ-სპეციალისტის მიერ საავადმყოფოს პირობებში გაკეთებული ოპერაციაც კი ზოგჯერ მრავალი ქალური დაავადების მიზეზი ხდება, მაშინაც კი, როდესაც ფიქრობენ, რომ აბორტმა „კარგად ჩაიარა". საერთოდ, ხელოვნური აბორტი მეტად მავნე ოპერაციას წარმოადგენს ქალის ჯანმრთელობისათვის. მის შედეგად ცვლილებები ვითარდება ნერვულ სისტემაში, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებში და მთელ ორგანიზმში, რომელიც შემდგომ ხშირად მიზეზი ხდება ორსულობის და მშობიარობის გართულებისა და მთელი რიგი გინეკოლოგიური დაავადებების განვითარებისა.

აბორტის შედეგად ქალს ხშირად ერღვევა მენსტრუაციული ციკლი, რომელიც ხშირი და გახანგრძლივებული ხდება, ეს კი იწვევს ქალის დასუსტებას, დაავადებას და შრომისუნარიანობის დაკარგვას ან დაქვეითებას.

ხშირია შემთხვევა, როდესაც აბორტი საშვილოსნოს კიბოს განვითარების მიზეზი ხდება.

ზოგჯერ აბორტის გაკეთების დროს საშვილოსნოს დაზიანების თავიდან ასაცილებლად იჩენენ გარკვეულ სიფრთხილეს, რის გამოც საშვილოსნოში რჩება ნაყოფის ან სანაყოფო გარსების ნაწილები, რომლებიც იხრწნება. ეს იწვევს საშვილოსნოდან სისხლდენას, რაც ხელს უწყობს მიკრობების გამრავლებას, საშვილოსნოში მათ შეჭრას და სისხლის მოწამვლას. ზოგჯერ კი პირიქით, იმის შიშით, რომ საშვილოსნოში არ დარჩეს ნაყოფის ნაწილები, საშვილოსნოს ღრუს ზედმეტად გამოფხეკენ ხოლმე, გამოაცლიან ლორწოვან გარსს. ამას მოჰყვება თვიურის შეწყვეტა — ამენორეა, რაც რთული და მძიმე დაავადებაა. ამის შედეგად გამოყოფილი კვერცხი საშვილოსნოში ვერ ინერგება და იწყება თვითნებური აბორტი და უნაყოფობა.

აბორტით გამოწვეული ყველაზე ხშირი გართულებაა ანთებითი პროცესები, რომლებიც შეიძლება გავრცელდეს საშვილოსნოზე, კვერცხსავალ მილებსა და საკვერცხეებზე, შემდეგ ვითარდება შეხორცებები,

რომლებიც იწვევენ საშვილოსნოს მდებარეობის შეცვლას და გამუდმებულ ყრუ ხასიათის ტკივილებს, რაც ძლიერდება მოძრაობისა და ფიზიკური დატვირთვის დროს.

მშობიარობის დროს წარმოშობილი ზოგი გართულება, რომელსაც თან სდევს სისხლდენა, არაიშვიათად წარსულში გაკეთებული აბორტის შედეგია.

ამა თუ იმ სახის შეუმჩნეველი ანთების შედეგად კვერცხსავალი მილის ლორწოვან გარსში ხდება ცვლილება: განაყოფიერებული კვერცხი, რომელიც მოხვდება კვერცხსავალი მილის ამგვარად შეცვლილ ადგილზე, წყვეტს საშვილოსნოსაკენ სვლას და განვითარებას იწყებს კვერცხსავალ მილში. ამის შედეგია ეგრეთწოდებული საშვილოსნოს გარეშე ორსულობა. ასეთ შემთხვევაში ქალის გადარჩენა შეიძლება მხოლოდ დროულად ჩატარებული ოპერაციით.

აბორტის შედეგად განვითარებული ანთებითი პროცესები არაიშვიათად ცვლილებებს იწვევს კვერცხსავალ მილშიც, ხდება მილის არხის დახშობა და ვითარდება უნაყოფობა, რომელიც აბორტის ერთ-ერთი უმძიმესი გართულებაა.

დედობის ინსტიქტი ქალს ძლიერ აქვს განვითარებული. ამიტომ მძიმეა იმ ქალის ხვედრი, რომელიც აბორტის შედეგად სამუდამოდ კარგავს შვილოსნობის უნარს და დედობის სიხარულს. გარდა ამისა, უნაყოფობას ხშირად მოსდევს ოჯახის დანგრევა.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ხელოვნური აბორტი აკრძალულია, მაგრამ, მიუხედავად იმისა, იგი მაინც ფართოდ არის გავრცელებული.

ჩვენში ხელოვნური აბორტი ნებადართულია, მაგრამ ეს ნებაყოფლობითობა დამყარებულია ორსული ქალის შეგნებაზე. ნებაყოფლობითობა იმას ნიშნავს, რომ ქალს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს გაიკეთოს მისი ჯანმრთელობისათვის ესოდენ მავნე ოპერაცია, აბორტი გაუკეთდეს საავადმყოფოს პირობებში ექიმ-სპეციალისტის მიერ.

საბჭოთა მთავრობა, მედიცინის მუშაკები და ფართო საზოგადოება ებრძვიან აბორტის გავრცელებას, როგორც ქალის ჯანმრთელობისათვის მავნე ოპერაციას.

ჩვენს ქვეყანაში დიდ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენენ ქალის, დედისა და ბავშვის მიმართ. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებში, ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის მძიმე წლებში ვ. ი. ლენინმა გამოსცა მთელი რიგი დეკრეტები ქალის, დედისა და ბავშვის ეკონომიკური და უფლებრივი დახმარებისათვის.

ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში, 1944 წლის 8 ივლისს გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ორსული, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების, „გმირი დედის“ და „სახელოვანი დედის“ ორდენებისა და „დედობის მედლის“ დაწესების შესახებ.



# სამთავრო

სამონასტრო ანსამბლი სამთავრო მდებარეობს ძველი მცხეთის ჩრდილო განაპირა მხარეს, სადაც მემატიანეთა ცნობით მდებარეობდა ქართლის მთავრის სასახლის ბაღი და რეზიდენცია. სწორედ ამან განაპირობა ძეგლის სახელწოდება „სამთავრო“.

სამთავროს ტერიტორიაზე პირველი ქრისტიანული ნაგებობა მცირე ეკლესიაა, რომლის აგება ქართლის პირველ ქრისტიან მეფეს მირიანს მიეწერება და IV საუკუნით თარიღდება.

XI საუკუნის პირველ ნახევარში აქ აუგიათ ჯვარგუმბათიანი, სამთავროს საეპისკოპოსო ტაძარი.

სამთავროს ხუროთმოძღვრული ძეგლი მრავალმხრივ საინტერესო ნაგებობაა, სადაც უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს მისი გეგმა, რომელიც ქართული ხუროთმოძღვრების წინაპერიოდის ანალოგიურ ნაგებობებთან შედარებით, მიისწრაფვის უფრო კომპაქტური სივრცის შექმნისაკენ. ტაძრის გუმბათი ეყრდნობა ორ ბურჯსა და აბსიდის შვერილებს.

ძეგლს სამხრეთიდან მიშენებული აქვს ვარსკვლავისებური კამარებით გადახურული დიდი ექვტერი — კარიბჭე. ფასადთა დამუშავება და მდიდარი, ბრწყინვალედ შესრულებული მორთულობა, ხუროთმოძღვრების მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს.

ტაძრის ფასადების გარე მხატვრული გაფორმება კონტრასტებზეა დაფუძნებული: აღმოსავლეთისა და განსაკუთრებით, დასავლეთის ფასადები დიდი ზომიერებითა და თავშეკავებითაა დამუშავებული, სამაგიეროდ, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადების შუა ნაწილები, სადაც ორმაგი სარკმელებია, უხვად არის შემკობილი ორნამენტული დეკორით.

ადრე ტაძარი შიგნიდან მოხატული ყოფილა, რომელიც სამწუხაროდ დროთა განმავლობაში განადგურდა, ხოლო ამჟამად შემორჩენილი მხატვრობის ფრაგმენტები გვიანდელი ხანისაა.

ეკლესიაში დაცულია პირველი ქრისტიანი მეფის მირიანისა და დედოფალ ნანას საფლავები. ისე როგორც ზოგიერთმა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლმა, სამთავრომ განიცადა დაზიანება, განსაკუთრებით 1283 წლის ძლიერი მიწისძვრის შედეგად. სტიქიურმა მოვლენამ დააქცია ეკლესიის გუმბათი, რომელიც XIII-XIV საუკუნეებშია მთლიანად აღდგენილი.

ეკლესიიდან ჩრდილო დასავლეთით დგას ლამაზი სამსართულიანი სამრეკლო, აგებული არა უადრეს XIII საუკუნისა.

სამთავროს ხუროთმოძღვრული ძეგლის მეცნიერულ შესწავლას და დაცვას ჩვენ დროში მიექცა ყურადღება. არქიტექტურულ კომპლექსზე უკანასკნელ პერიოდში, სარესტავრაციო-გამაგრებითი სამუშაოები განხორციელდა, კეთილმოეწყო და გემოვნებით შემოიზღუდა მისი ეზო-მიდამო.

მნიშვნელოვანი სამეცნიერო სარესტავრაციო სამუშაოები განხორციელდა და შეძლებისდაგვარად თავდაპირვანდელი სახით აღდგენილია ე. წ. მირიანისეული მინიატურული ეკლესია.

მცხეთის მრავალ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შორის სამთავროს ტაძარიც დათვალიერების ობიექტს წარმოადგენს, ტურისტთა იმ უწყვეტი ნაკადისათვის, რომლებიც წელიწადის ყოველ დროს მიემგზავრებიან ქართლის ძველი დედაქალაქის მცხეთის სიძველეთა გასაცნობად.

ირაკლი ზაქარიაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადა ნეგრი და ანტონია პოცი ჩვენი საუკუნის ის საუკეთესო იტალიელი პოეტი ქალები არიან, რომელთაც ერთმანეთთან მარტო თანამოკალმეობა კი არ აკავშირებთ, არამედ — მეტად ძნელი, მძიმე ცხოვრების სინამდვილე და თითქმის ერთნაირი ხანმოკლეობის ტრაგედიაც. ამასთანავე ორივე მათგანის შემოქმედება ერთნაირი სიძლიერით აღქმულ-გადმოცემული ჭეშმარიტებაა სამყაროსა თუ საზოგადოებრივ მოვლენათა მიმართ. ამიტომაც ა. ნეგრსა და ა. პოცის იტალიურ პოეზიაში ერთმანეთის გვერდიგვერდ მოიხსენიებენ ხოლმე. ქართულადაც ორივე ერთად ამიტომ ითარგმნა.

ვთავაზობთ ა. ნეგრისა და ა. პოცის თითო ლექსს.

## ადა ნეგრი

* * *

### დედისადმი

დედის ჭაღარა, როგორც ხატება წმინდა,
მე ცოცხალივით დღესაც თვალწინ მიდგას
და ახლა ვხვდები, თუ რა სინათლეს მგვრიდა,
თეთრი ნაწნავი, ხილვა რომლისაც, ყოველ წუთს მინდა...
მე შენ ალერსით შვილოს მეძახდი მაშინ,
როს არც მესმოდა შენი ნათქვამის ფასი.
ახლა კი ახლა, მითხარ, დედიკო აწი,
ვის დაეწვება ჩემზე ცრემლებით ლაწვი?!
ვინღა იფიქრებს, აწი შენსავით ჩემზე,
ან ვინ დაგიწნავს, კიდევ ჩემსავით შენ თმებს, —
შენ წახვედი და, მე დამიტოვე თმები,
— წყვილი ნაწნავი, რომლის ხილვითაც ვთბები...
...და ეს ჭაღარა, თეთრი ნაწნავი წყვილი,
თუ დამიოკებს შენდამი ხილვის წყურვილს,
მაშინ იქცევა შენი ჭაღარა ჩემთვის,
იმ უკვდავებად, ჩემი ფიქრი რომ ერთვის...
და თუკი ერთ დროს, მე ვერ ვბედავდი დაწვნას,
შენი თმებისას, ჩემი ულონო ხელით,
დღეს იმ ბავშვური და უცხო შიშის ნაცვლად,
ჩემს გულს აშინებს, მხოლოდ არ ყოფნა ამ ქვეყნად შენი...
და შენს ნაწნავებს ახე სპეტაკს და სათნოს,
ავგაროზივით ყველგან ვატარებ დედი,
რომ გული ჩემი, შენმა ჭაღარამ აწრთოს,
და აღარ ჰქონდეს, შენებრ ხანმოკლე ბედი.
დედის ჭაღარა, ვით სალოცავი სახება წმინდა,
მე ცოცხალივით დღესაც თვალისწინ მიდგას!!

## ანტონია პოცი

### დროის სიკვდილი

წვიმა ეცემა დღეს წვეთ-წვეთობით ფანჯრის რაფაზე,
ამ ჩემს პატარა, სივრცის საზვერავ, ფანჯრის რაფაზე,
ტყეებიდან კი, იგი გამორბის ხმაურ-მუქარით,
ზაფხულს და წვიმას, დრო ხომ ყოველთვის ერთგვარ აფასებს,
მოდი და აბა, დროს სამდურავი ამის უთხარი,
მაგრამ მდინარე, აქაფებული, თეთრი მდინარე,
როცა დაშრება. უჩინარდება, აშინებს დროს და,
წვიმა, რომელიც თავის არ მოსვლით,
მდინარეს მართლაც აუჩინარებს,
დროის მუქარით, და დროის შიშით, კვლავ იწყებს მოსვლას
და უცებ იხევ, ხდება სამყარო პირმომცინარე...
...მაგრამ დახედეთ, დახედეთ დღეის-დღის საოცრებას,
დაშრა მდინარე, დღემდე წყლით სავსე — უწყლობით მოკვდა —
არ შეეშინდა დროის მუქარის, რადგანაც წვიმას,
მან მიუტოვა მინდორ-ველებიც, ლაღი მდინარეც,
და უმისოდ კი, მინდვრებმა უცებ დაჰკარგეს ბრწყინვა...
...და მაშინ, როცა დრო მოგზაური, მოულოდნელად.
ამ ჩამომჭკნარ და, სულის შემხუთველ მხარეში მოხვდა,
თვალთ დაუბნელდა, დრო დაამუნჯა ამ საოცრებამ...
და მერე, მერე, დროს ქვეყნად თითქმის ყველაფრის შემძლეს,
ველარაფერმა, თავად მზემაც ველარ უშველა,
მოკვდა დრო, მაგრამ ო! საოცრებავ,
ამას რა ვხედავ, დღეს ჩემს წინ მზე წევს,
დიახ, ჩემს თვალწინ, მიწაზე მზე ძევს, ცოცხალი მზე ძევს,
მზე ჩამოსული, დროის საშველად, სივრცის საშველად,...
...და ნურას შიშობთ, რადგან გვეწვია მიწაზე დღეს მზე,
გჯეროდეთ რომ დროც, გარდაცვლილი დროც, დადგება ფეხზე...

იტალიურიდან თარგმნა **ნაზი ჭედიამ**

## იუმორი

### აურზაური არაფრის გამო

რვა წლის თავდავიწყებული ლოდინის შემდეგ ცოლმა ყურში ჩამჩურჩულა:

— მგონი...

და სამშობიარო სახლისაკენ გაქანდა. მე ვიფიქრე, ჭკუიდან გადაქანდა მეთქი და გამოვეკიდე.

დედაჩემმა, სიდედრმა და სიმამრმა მაშინვე ალყაში მომამწყვდიეს.

— ბავშვი მე უნდა გავზარდო! — თქვა სიმამრმა და თავისკენ მომქაჩა.

— ჰო, — დაეთანხმა სიდედრი და თვალები გადმომიქაჩა, — რა თქმა უნდა, ბავშვს ქალი შობს და არა კაცი. ამიტომ ბავშვი ჩვენია. ამასთან ისიც გაითვალისწინე, ვაჟბატონო, რომ ჩემს ქალიშვილს ჩვილი ბავშვის სახლაფორთოდ არ სცალია!

— სწორია! თანახმა ვარ! — ვთქვი მე.

მამაჩემი გადაირია, ცოფი გადმოყარა პირიდან. ატყდა აურზაური. ახლა დედაჩემი მიუბრუნდა ჩემს სიდედრს.

— შვილიშვილს ცოცხალი თავით არ დაგითმობთ! უკეთესს გირჩევთ, წაიყვანეთ თქვენი ქალიშვილი და ზედ, თუ გნებავთ, ეს მუტრუკიც მიაყოლეთ! შვილიშვილს კი მე და ჩემი ქმარი გავზრდით! ახლანდელი ქალები ძუძუს მაინც არ აწოვებენ ბავშვს და ძროხის რძეს ვინ დაალევინებს, ამას რა მნიშვნელობა აქვს?!

ეს იყო შარშან რვა მარტს, მაგრამ დავა დღესაც გრძელდება.

ჩემი ცოლი კი ისევ სამშობიარო სახლში კონსულტაციაზე დადის...

### სიტყვის ქალი

იმ დღეს, ხელფასი რომ ავიღე, სამი ცალი ლატარიის ბილეთი ვიყიდე და სახლში მივედი.

— რა უყავი მანეთი? — მკითხა ცოლმა, როცა მაგიდაზე დაწყობილი ფული დათვალა.

— სამი ცალი ლატარიის ბილეთი ვიყიდე, „ვოლგას" მოვიგებ, ჩავჯდები და ჩემს გემოზე ვივლი.

— შენ ვერ ივლი, შენ ვერ იცუნდრუკებ შენს გემოზე!

— აბა ვინ?

— მე!

— შენ რატომ, მე კაცი არა ვარ?

— შენ რომ კაცი იყო, „ვოლგას" სხვანაირად იყიდდი.

თვალები შუბლზე გამექცა.

— ქალო, ვიქურდო გინდა?

— იქურდე, თუკი მაგას ქურდობა ჰქვია დღეს.

— რომ დამიჭირონ?

— „პერედაჩას" მოგიტან.

„ვოლგის" ფული ჯერ კიდევ არ მომეყუჩებინა, რომ თვითონ მომაყუჩეს.

იმ ფულით ჩემმა ცოლმა „მოსკვიჩი" იყიდა და დღე არ გავა, „პერედაჩა" არ მომიტანოს...

რევაზ ოსეფაიშვილი

# ზოგი რამ გოგრის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგრა კარგი სასურსათო და საკვები კულტურაა. ძვირფასი ქიმიური შემადგენლობის გამო ადამიანის ორგანიზმი მას კარგად ითვისებს. გოგრას დიდი ადგილი უჭირავს სამკურნალო და დიეტურ კვებაში: ღვიძლის, თირკმლების, გულსისხლძარღვთა და სხვა დაავადების დროს. აგრეთვე არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას.

გოგრაში მეტია პექტინოვანი ნივთიერებები, ვიდრე ვაშლსა და ჭარხალში. ეს ნივთიერებები დადებითად მოქმედებენ ადამიანის ორგანიზმზე, ნთქავენ მავნე ნივთიერებებს, რომლებიც ორგანიზმში ხვდებიან და აძლიერებენ ორგანიზმიდან ქოლესტერინის გამოდევნას.

გოგრის ნაყოფში დიდი რაოდენობით არის კაროტინი (1,7-3,0 მგ%), რომელიც ადამიანის ორგანიზმში გარდაიქმნება სიცოცხლისათვის აუცილებელ ვიტამინად; საკმაო რაოდენობით შეიცავს აგრეთვე $B_1$, $B_2$ და C ვიტამინებს. ქართული გოგრების ქიმიური შედგენილობა ასეთია: მშრალი ნივთიერება 12%, საერთო შაქარი 1-7%, უჯრედისი 0,25-1,46%, სახამებელი 1-2,8%, და პექტინოვანი ნივთიერებები — 0,6-1,0%.

კალორიულობის მხრივ გოგრა არ გამოირჩევა — 100 გრამი ნაყოფი შეიცავს მხოლოდ 27 დიდ კალორიას, იმავე რაოდენობის კარტოფილი კი 94 დიდ კალორიას. აღნიშნულის გამო გოგრა შეაქვთ იმათ ულუფაში, ვისაც სიმსუქნისადმი მიდრეკილება აქვს.

გოგრის თესლი შეიცავს 50 პროცენტამდე მცენარეულ ცხიმს, მნიშვნელოვანი რაოდენობით ცილას, შაქარს, ფიტოსტერონს და ფიტინს. აღნიშნულის გამო თესლს იყენებენ სახალხო მედიცინაში ადამიანის მრგვალი და ბრტყელი ჭიების საწინააღმდეგოდ და ნაღვლის ბუშტის ანთების დროს.

გოგრა შეიძლება მიირთვათ მოხარშული, შემწვარი ან დამწნილებული, მოამზადოთ მრავალი სახის გემრიელი კერძი, პიურე, ცუკატები, სასმელი წვენი. თესლისგან იღებენ საჭმელ ზეთს, აკეთებენ ჩურჩხელებს.

გოგრისა და მისი თესლისაგან შეგიძლიათ დაამზადოთ კერძები, გთავაზობთ რამდენიმე რეცეპტს.

## გოგრა ნიგვზით

მოაცილეთ გოგრას კანი და თესლი. დაჭერით ნაჭრებად და მოხარშეთ ცოტა წყალში. მოხარშული გოგრა გადმოიღეთ, გააცივეთ და შეაზავეთ. (საკმაზი ასე მზადდება: დანაყილი ნიგოზი, ნიორი, ქინძი, წიწაკა, მარილი და ძმარი ერთმანეთში აურიეთ).

სუფრაზე მიტანისას მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში და ნიახური.

## გოგრა რძით

გასუფთავებული, კანგაცლილი გოგრა დაჭერით პატარა ნაჭრებად და მოხარშეთ ცოტა წყალში. სუფრაზე მიტანისას დაასხით ცივი რძე.

## გოგრა ბრინჯით

საშუალო ზომის კანგაცლილი დაჭრილი გოგრა ჩააწყვეთ ქვაბში, დაასხით 2 ჩაის ჭიქა რძე, 1 ჩაის ჭიქა წყალი და ნახევრად მოხარშეთ, შემდეგ დაუმატეთ 1 ჩაის ჭიქა ბრინჯი, მარილი და ადუღეთ სრულ მოხარშვამდე.

## გოგრა ქიშმიშით, ნიგვზით და თაფლით

აიღეთ საშუალო ზომის მაგარკანიანი — ხოკერა გოგრა. (უმჯობესია ნაყოფი იყოს ყუნწიანი) და ყუნწიდან 5-6 სმ-ზე გადაჭერით. ამოაცალეთ თესლი, გარეცხეთ და მოხარშეთ მთლიანად, მოხარშული გოგრიდან რბილობი გადმოყარეთ ჯამზე. აურიეთ მასში წინასწარ გამზადებული, წვრილად დაჭრილი ნახევარი ჩაის ჭიქა ნიგოზი, 1 სუფრის კოვზი თაფლი და ნახევარი ჩაის ჭიქა ქიშმიში. მიღებული მასა ისევ ჩაყარეთ გოგრაში, დაახურეთ მისი გადანაჭერი და ისე მიიტანეთ სუფრაზე.

## გოგრის თესლის შექამანდი

კარგად გამშრალი 1 კგ გოგრის თესლი დანაყეთ თავის კანიანად. შემდეგ დაასხით 2 ჭიქა თბილი წყალი, გაწურეთ საცერში კანის მოსაცილებლად. (უმჯობესია გამოიყენოთ გოგრის ის ჯიშები, რომლებიც თხელკანიან თესლს ინვითარებენ) და ადუღეთ ნელ ცეცხლზე; გააცივეთ, გაწურეთ ორფა დოლბანდში, დაუმატეთ მარილი, (შეგიძლიათ წვრილად დაჭრილი ხახვიც შეურიოთ).

## გოგრის თესლის ჩურჩხელა

გოგრის კანგაცლილი თესლი აასხით 20-25 სმ სიგრძის ბამბის ძაფზე და რამდენჯერმე ამოავლეთ ახლად მოდუღებულ თათარაში. ჩურჩხელები ერთმანეთის დაშორებით გადაკიდეთ ჯოხზე და გააშრეთ.

## გოგრის მოხალული თესლი

გოგრის თესლს აურიეთ ცოტა სუფრის მარილი და მოხალეთ თუჯის ტაფაზე.

ე. რამიშვილი,
უმცროსი მეცნიერ მუშაკი.



დროის სხვადასხვა პერიოდში, ქვის თვლებისადმი ინტერესი იცვლებოდა — ხან სუსტდებოდა, ხან ძლიერდებოდა. ჩვენს დროში ამ ინტერესის აღორძინება შეიმჩნევა. ეს ხომ ერთგვარი წილია ადამიანის ბუნებისაკენ, მისი პირველადი ფორმებისაკენ მიბრუნების საყოველთაო პროცესისა.

* * *

უძველესი დროიდან ხალხი თვლებს მაგიურ თვისებებს მიაწერდა. სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში შექმნილ „ლექსთა წიგნში“ აი რას ამბობდნენ ნეფრიტზე: „მისი ლბილი, მოელვარე ზედაპირი კაცობრიობის სიკეთეს განასახიერებს. მისი სიმყარე — ცოდნისა და გონის სიმბოლოა; მისი მოუჩლუნგავი კუთხენი — სიმბოლოა სამართლიანობისა; წკრიალი, მშვენიერი ხმა, ნეფრიტის თხელი ფირფიტები რომ გამოსცემს, ენით უთქმელი, ღვთაებრივი მუსიკის გამოძახილია, ბედნიერების გამოხატვაა“.

* * *

„ლაპიდარიების“ (თვლების წიგნები) ძველი წიგნები, მოგვითხრობდა ქვათა მაგიურ თვისებებს: მაგალითად, ბრძენნი ირწმუნებოდნენ: ზურმუხტის ქვა გველს რომ დავანახოთ, თვალთაგან წყალი წამოუვა და დაბრმავდებაო.

* * *

ძვირფას ქვებს ყოველთვის მიაწერდნენ რაღაც მაგიურ თვისებას. გარდა იმისა, რომ ფართოდ გავრცელდა „დაბადების თვეთა ქვები“, ცნობილი იყო აგრეთვე, „კვირის დღეთა ქვები“. „ბავშვთა ბედნიერების ქვები“. ძველ აღმოსავლეთში შეადგინეს სიები, თუ რომელ კაცს რომელი სასურველი ქვა უნდა ეტარებინა. მოგვიანებით, ეს სიები ევროპაშიც გავრცელდა. შემდეგ მრავალჯერ გადაწერის გამო სიები შეიცვალა, გაჩნდა ნაირნაირი ვარიანტები: გერმანული, ებრაული, რომანული, სლავური და სხვ.

„დაბადების თვეთა ქვებისადმი“ ინტერესი დღესაც არის შემორჩენილი. სწორედ ამის გამო, ჩვენს დროში, იუველირთა საერთაშორისო ასოციაციამ ისტორიულად მოიძია და დაადგინა ერთი „ყველაზე სწორი სია“, რომლის მიხედვითაც, თითოეულ თვეს შემდეგი თვლები შეესაბამება: იანვარი — ძოწი; თებერვალი — ამეთვისტო; მარტი — აკვამარინი; აპრილი — ალმასი; მაისი — ზურმუხტი; ივნისი — მარგალიტი; ივლისი — ლალი; აგვისტო — ხრიზოლიტი; სექტემბერი — საფირონი; ოქტომბერი — ოპალი; ნოემბერი — ტოპაზი; დეკემბერი — ფირუზი.

* * *

აქამდე, ფიქრობდნენ, რომ ინგლისელები, ჩაის გამოყენების მხრივ, მსოფლიოში პირველ ადგილზე იყვნენ. ისინი მართლაც რომ ძალიან ბევრ ჩაის სვამდნენ მთელი წლის განმავლობაში, მოსახლეობის ერთ სულზე 1650 ფინჯანი მოდიოდა, ე. ი. დღეში ერთ სულზე 4,5 ფინჯანი ჩაი. მაგრამ, ახლა, ლონდონში გამოქვეყნებული ცნობებით, მათ ირლანდიელებმა გაუსწრეს: ირლანდიის თვითეული მცხოვრები წელიწადში თურმე 1724 ფინჯან ჩაის მიირთმევს.

* * *

ცუდად სწავლობენ ის ბავშვები, რომელთა დედებიც ორსულობისას სიგარეტს წევდნენ. — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ბრიტანეთის ექიმები და პედაგოგები. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა კითხვისას და მათემატიკის გაკვეთილებზეო.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაფაელ სანტი — „სიქსტის მადონა“

დიდი იტალიელი ფერმწერის რაფაელის (1483-1520) შემოქმედება რენესანსის კლასიკური ხაზის ნათელი გამოხატულებაა.

მხატვარი ქ. ურბინოში დაიბადა. მისი პირველი პედაგოგი თავისი მამა იყო — რიგითი ფერმწერი ჯოვანი სანტი.

ყველაზე ადრეული, ზომით თითქმის მინიატურული ნამუშევრები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, რაფაელს ჩვიდმეტი წლის ასაკში აქვს შექმნილი.

1500 წელს რაფაელმა დატოვა ურბინო და უმბრის სკოლის ხელმძღვანელთან, პიეტრო პერუჯინოსთან დაიწყო მუშაობა.

მალე მისმა შემოქმედებითმა პროგრესმა უფრო ფართო ასპარეზი მოითხოვა და 1504 წ. იგი ფლორენციაში გადასახლდა. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო რენესანსის პრინციპების გავრცელება მხატვრების ფართო წრეში.

რაფაელი გატაცებით ეცნობა ფლორენციელი ოსტატების, განსაკუთრებით ლეონარდოს და მიქელანჯელოს ქმნილებებს და იძენს ფლორენციული სკოლის ამ პერიოდის საუკეთესო თვისებებს.

გთავაზობთ რაფაელის დაზგურ ფერწერას — „სიქსტის მადონას“, რომელიც პიაჩენცეს წმ. სიქსტის ეკლესიისათვის არის შექმნილი და მსოფლიო ხელოვნების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად ითვლება.

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ — Ე. ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ — „ᲫᲕᲔᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ“, ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲖᲔ — ᲠᲐᲤᲐᲔᲚ ᲡᲐᲜᲢᲘ — „ᲡᲘᲥᲡᲢᲘᲡ ᲛᲐᲓᲝᲜᲐ“.


რედაქტორი ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ

სარედაქციო კოლეგია: Ბ. ᲑᲐᲜᲫᲔᲚᲐᲫᲔ, Ნ. ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ნ. ᲒᲣᲠᲑᲔᲜᲘᲫᲔ, Ლ. ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ, Ზ. ᲙᲕᲐᲭᲐᲫᲔ, Ნ. ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ, Თ. ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ქ. ᲚᲝᲛᲗᲐᲗᲘᲫᲔ, Ნ. ᲟᲕᲐᲜᲘᲐ, Პ. ᲟᲚᲔᲜᲢᲘ, Ც. ᲢᲔᲠᲔᲚᲐᲫᲔ (მხატ. რედაქტორი), Ნ. ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ლ. ᲨᲔᲭᲘᲠᲣᲚᲘ, Ნ. ᲪᲐᲒᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ნ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ე. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქ ტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 9.III.83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.IV.83 წ. ქაღალდის ზომა 60 × 1/3. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5. 8.

ტირაჟი 127.560. შეკვ. 668. უე 07112.

# შეიკერეთ თქვენ თვითონ




48 ზომა






ნახაზზე მოცემულია 48 ზომის ჟილეტე-ბი. ჟილეტები შეიძლება სადა ან უჯრიანი ქსოვილისაგან შეიკეროთ.

პირველ შემთხვევაში ჟილეტი წელის ხაზამდეა, გულისპირი V-სებური ფორმისა აქვს.

მეორე შემთხვევაში ჟილეტი წელის ხაზზე დაბლაა, ტანზე ოდნავ მომდგარი და ბოლოში შესაკრავთან შეჭრილია.

გეტა ნანუკაშვილი,
საქართველოს მოდელების სახლის მთავარი მხატვარი-მოდელიორი.

ქართული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი ჳ0 კაპ.

ინდექსი 76178